



La Géorgie

Indépendante

Revue mensuelle

SEPTEMBRE

1931—№ 69

სექტემბერი

1931 წ.

№ 69

დასავლეთკავკასიელი საქართველოს

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს პ ო ლ ი ტ ი კ ე უ რ ი პ ა რ ტ ი ე მ ი ს ო რ გ ა ნ ო .

მ ი ნ ა ა რ ს ი :

მეთაური—მოსკოვი და ვეროპა.
ილია ნუცუბიძე—როგორ სცხოვრობენ საბუ. ს-ში
სდფიდ ლენინისა—პასუხად ძველს მეგობარს.
ვანტ. მესხი—ვის ებრყვის ან რას იცავს საქ-ლო.
კაჟი—მოსკოვი წინეთ და ვხლა.
საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა.

ვიღრვი გვაზავა—პეტრე სურგულაძე.
ტადეუშ პოლოვკო.
უცხოეთის მიმოხილვა.
საქართველოს ამბები.
ფ.—ი. გოგებაშვილის «დედა-ენა» პარიზში.
ქართველები საფრანგეთში და სხ.

მ ო ს კ ო ვ ი ღ ა ე ვ რ ო პ ა

მკითხველს ახსოვს, როგორის ჯახით შეყო მოსკოვმა თავი, გასულ მაისს, ვეროპის კავშირის შემსწავლელ კომისიაში. ის დაუშვეს არა სრული, არამედ შეკვეცილი უფლებით, ანუ მარტო ეკონომიური კითხვებისთვის. ამით აიხსნებოდა ის სასაცილო ეპიზოდები, როცა მას იწვევდნენ და არ ეუბნებოდნენ როდისთვის...

მაშინ ლიტვინოვმა განიმეორა ძველი ლოზუნგი კაპიტალისტურ და «სოციალისტურ» სისტემათა შეთანხმებისა და ეხლაც, სექტემბერში, რასაკვირველია, მასვე აუქერდა ხელს. მას პირდაპირ თაფლი გამოდიოდა პირიდან: ორი სისტემა არსებობს, როგორც ხალასი ფაქტი, ვერ გაუაუქმებთ, როგორც წვიმასა და ქარს, აქედან მათი თანამშრომლობაც გარდაუვალია—ლადადებდა ლიტვინოვი. როგორ—ეკითხებოდნენ მას, აკი მარქსიზმი, ლენინიზმი, სტალინიზმი სულ წინააღმდეგს ქადაგებს, როგორ ათანხმებთ მათ? ეს დიალექტიკის საქმეა—დარდიმანდობდა ლიტვინოვი—, სად ვაპრობა და სად ფილოსოფია, მერმე ჩვენი თეორეტიკოსი სტალინი შინ დავტოვე, მე კი დალალი ვარ, მოვსულვარ მოგვიდოთ და ვიყიდო, რას ვაქნევ ფილოსოფიას!

ასეთი შინაარსის ბაასი ჰქონდა დაახლოებით ლიტვინოვს ვეროპის საგარეო მინისტრებთან, რომელნიც მან მიიწვია ნადიმზე. ამავე დროს მისი აგენტები დაძრწოდნენ თვითულ დელეგაციის ეკონომიურ-ფინანსურ წრეებში, რომ მოესინჯათ ნიადაგი,

სად და ვისგან შეეძლოთ აელოთ სესხი ნაღდათ თუ საქონლით.

ამ რიგათ, ბუმბერაზი «პროლეტარული სახელმწიფო», იმედი და მშვენება კაცობრიობისა, ბერკეტი მოფლიო რევოლიუციისა, ხელგაშვერილი იდგა «კლასობრივ მტრის», ვეროპის ბურჟუაზიის წინაშე... უკეთესი სურათი საბუოთა უმწეო მდგომარეობისა შეუძლებელია. ჩვენ კიდევ უფრო ვმტკიცდებით იმ აზრში, რომელიც გამოგვითქვამს: უცხოეთის დაუხმარებლათ საბუოთა რეჟიმი ვერ იბოგინებდა.

მაგრამ ლიტვინოვი და მისი მომგზავნი არც ისე ბალენი არიან—ფეიქრნათ, რომ ენევაში ფლავს არიგებენ, და, თუ აპირებენ აღმოსავლეთ ვეროპის აგრარულ ქვეყნების დახმარებას კრედიტით თუ ბაზრის გაჩენით, ეს სრულიად არ ვრცელდება ერთა ლიგის გარეშე მყოფ ქვეყნებზე. გაიხსენეთ ბრიანის ირონიული პასუხი რუშთი ბეის მოთხოვნაზე ოსმალეთისთვისაც მიეცათ კრედიტი: ამისათვის თქვენ იცით, რომელი კარები უნდა შეაღოთ.

მოსკოვის ზრუნვა სხვა რამეშია: მას ეშინია მართლა არ განხორციელდეს ვეროპის კავშირი ანუ ფედერაცია, როგორც თავში ეძახოდნენ. საკმაოტ ცნობილია, როგორ სარგებლობს მოსკოვი სახელმწიფოთა ურთიერთ მეტოქეობას. რაც უფრო დაქსახულია ვეროპა, მით უკეთესია მოსკოვისთვის, მით უფრო ადვილია მღვრიე წყალში თევზის ქერა.

კავშირი კი მოასწავებს ამ მეტოქეობის განსაზღვრულ კალაპოტში ჩაყენებას, მაგალითად, ნედლი მასალის და კრედიტის მართებულად განაწილებას, ბაყების გაუქმებას ან შემცირებას და სხ.

მაშასადამე, მოსკოვი მონაწილეობს შემსწავლელ კომისიაში არა იმისთვის, რომ ხელი შეუწყოს ევროპის კავშირის დაარსებას, არამედ ჩაშალოს იგი. ესაა დანიშნულება ლიტვინოვის მიერ შეტანილ პროექტისა: ეკონომიურ არ-დაცემის პაკტი (pacte de non-agression économique).

რაა დედა-აზრი ამ პროექტისა? სრული თანასწორობა აღებ-მიცემობაში, არავითარი უპირატესობა ერთი ქვეყნისა მეორეზე, არავითარი დაბრკოლება საქონლის შეტანა-გატანაში.

მაგრამ როგორ უნდა შეათანხმონ ამ შემთხვევაში ორი სხვა და სხვა სისტემა? ერთის მხრით, სახელმწიფო მონაპოლია, მეორეს მხრით, თავისუფალი ჭიდილი კერძო ვაჭართა და მრეწველთა? ეგ ხომ დამპინგის დაკანონება იქნებოდა ერთად ერთ ბატონ-პატრონ სტალინისთვის, მისი 160 მილიონი ყმით!

ამბობენ, როცა მეხამე რესპუბლიკა იმუშავებდა თავის კონსტიტუციას, ერთი ბონაპარტიისტი ცხარეთ მოითხოვდა პრესის თავისუფლებას. ეოცათ მე-მარცხენე დეპუტატებს, აკი თქვენ ყოველთვის პრესისთვის მუხრუჭის მომხრე იყავითო. მართალია—უპასუხებს ბონაპარტი—, როცა ჩვენ ვიყავით ბატონი, ჩვენ პრინციპებს ვიყენებდით; ესლა თქვენა ხართ ბატონი, მაშ მოგვეციტ ნება თქვენი პრინციპები გამოვიყენოთ! სწორეთ ასე, მოსკოველი პოტენტილი სხვებისთვის მხარს უჭერს სრულს თავისუფლებას აღებმიცემობისას, ხოლო თავისთვის იტოვებს უფლებას რაც შეიძლება მეტი საქონელი გამოიტანოს მსოფლიო ბაზარზედ, ხოლო თავის საბრძანებელში შეუშვას დღეს ერთი სახელმწიფოს საქონელი, ხვალ მეორესი, როგორც მოეპოვებება.

ეს კიდევ უთხრა ლიტვინოვს საფრანგეთის ფინანსთა მინისტრმა ფლანდენმა: თქვენ მსხვერპლად მოგაქვთ თავი, მაშინ როდესაც, როგორც ერთად ერთ მრეწველს და ვაჭარს, თქვენს სახელმწიფოს, შეუძლია თვითნებურად აირჩიოს, ვისგან იყიდოს, ხოლო სხვა სახელმწიფოებმა დაუბრკოლებლათ უნდა შეუშვან თქვენი საქონელიო.

მაგრამ, გარდა ფლანდენისა და ისიც ირონიულათ, არავინ შეხებია არსებითათ ლიტვინოვის პროექტს; ამიტომ დაჟინებით მოითხოვდა ლიტვინოვი სპეციალურ კომისიის დაარსებას ამისათვის.

მას მხარი დაუჭირა იტალიის საგარეო მინისტრმა გრანდემ და გერმანიის საგარეო მინისტრის კურციუსის შესწორებით—ეთხოვოს ერთა ლიგის წლიურ ყრილობას ნებართვაო—წინადადება მიღებულ იქნა. ერთა ლიგამ უკვე დართო ნება იმ განსხვავებით, რომ სპეციალურ კომისიაში შევლენ, გარდა ევროპისა, აზიის და ამერიკის სახელმწიფოთა წარმომადგენელნი. ეს კი ნიშნავს კითხვის თრევას და შემდეგ უხმაურთ დამარხვას! ან კი ვის სცალია მოსკოვის მიერ შეთითხნილ დემაგოგიურ პროექტებისთვის, რომელიც მიუღებელია თვით გერმანია-იტალიისთვის და ამიტომ ცდილობენ უკანასკნელნი განსაკუთრებული შეღავათები მოიპოვონ საბჭოთა კავშირში.

ხემოთ თქმულმა ხელი არ უნდა შეგვიშალოს აღვნიშნოთ, რომ საბჭოთა კავშირი თანდათან შედის საერთაშორისო კონცერტში, მის ხმას ყურს უგდებენ ევროპაში, მხათ არიან ურეხერვოთ მიიღონ ერთა ლიგაში, ერთის სიტყვით, ანგარიშს უწევენ მას. ამის მიზეზი, საუბედუროთ, არის თვით ევროპის მოუწყობლობა. კრიზისები და ძველი დიპლომატიურ ტაქტიკის განგრძობა, უნდობლობა სახელმწიფოთა შორის.

აიღეთ მაგალითისთვის მოსკოვის მეორე, ანუ პოლიტიკურ თავდაუხსნელობის პაკტის ისტორია, ფრიად საგულისხმიერო დღევანდელ აწეწილ მდგომარეობაში. მოსკოვი მიმართავს ამ წინადადებით საფრანგეთს, რომელიც ეკონომიურ მოლაპარაკებას აწარმოებს მასთან, და ამიტომ მხათაა პოლიტიკურ პაკტზედაც ელაპარაკოს, პროექტიც თითქო შედგენილია შავათ.

ეს იწვევს აღელვებას ბერლინში: როგორ, მოსკოვი აპირებს გერმანია-პოლონეთის საზღვრების დადასტურებას, გვალატობსო! ლიტვინოვი იძულებულია მიიზბინოს ბერლინში და არწმუნოს მთა ვრობის წრეები; არასფერი ამის მსგავსიო.

თუ ეს ასეა, ფიქრობს პოლონეთი, მაშ ჩემს მოკავშირეს საფრანგეთს არ დაუცავს ჩემი ინტერესებიო. ამის გამო პოლონეთის საგარეო მინისტრს ხალეკის ნადიმს უმართავენ პარიზში და საფრანგეთის მთავრობის თავმჯდომარე ლავალი საჯაროთ არწმუნებს მას, არას დროს და არავითარ შემთხვევაში ჩვენ ხელს არ შეუშვებთ ჩვენს ერთგულ მოკავშირესო.

მაგრამ პოლონეთმა კიდევ საფრანგეთის ადრე თავისი თაოსნობით დაუწყო მოსკოვს ლაპარაკი პაკტზე, პროექტიც გადასცა ამ ზაფხულს. მართალია, პოლონეთი იმეორებს ძველ მოთხოვნილებას—



პაკტი შევიდნენ მასთან ერთად მოკავშირე რუმინია და ბალტიის რესპუბლიკები—, რაზედაც მოსკოვი არაა თანახმა, მაგრამ თვით კითხვის დასმა დიდად საყურადღებოა.

ჩვენ გვასწავნებს კავკასიის ბედი, როცა ის ჯერ კიდევ თავისუფალი იყო. ჩიჩერინის და რაკოვსკის განცხადების თანახმად ტფილისში, 1925 წელს, ლოიდ ჯორჯმა განუცხადა მოსკოვს ჩვენ არ ვერვით კავკასიის საქმეებში, კავკასია რუსეთის გავლენის სფეროში შედის. ამის შემდეგ იცით, რაც მოხდა, მოსკოვმა დაიჭირა კავკასია და ოფიციალურმა ევროპამ ხმაც კი არ ამოიღო! ასევე შეიძლება მოხდეს ბალტიის რესპუბლიკების მიმართ, საქმარისია საფრანგეთმა და განსაკუთრებით პოლონეთმა განაცხადონ არ გვინტერესებს ბალტიის ბედი, მოსკოვი მეორე დღესვე შეუდგება იქ ხელოვნურ «პუჩების» მოწყობას, რომ შემდეგ მიაშველოს გადაცმული წითელი ჯარი «მომხე პროლეტარიატის» გასამარჯვებლად.

დიდი შეცდომა იქნებოდა გვეთქვა, რომ საქმე ამ ზომამდე მივიდა, პოლონეთი არ გასცემს ბალტიას და არც საფრანგეთი შეუშვებს ხელს, მაგრამ ხან გასასმელი ისაა, რომ მოსკოვის მისწრაფება სწორედ ამაში მდგომარეობს. უფსკრულის წინ მას სურს ახალი პროვინციები იგდოს ხელთ, მოახდინოს თავისებური ცარცვა-გლეჯა და ევროპას უშუალოდ გადაეხადოს რიგა-რეველ-ლიბავის ნავთსადგურებით.

მასხადამე, მითქმა-მოთქმა დიდია, ხშირად მსჯელობენ საბჭოთა სამხედრო სიძლიერეზე, ცთი-

ლობენ მის მიმხრობასაც, და მოსკოვი მარჯვეთ იყენებს, რა თქმა უნდა, ამ ახალ გარემოებას. ზოგიერთი ისე შორსაც კი მიდის, რომ ლაპარაკობს საბჭოთა ჰეგემონიაზე აღმოსავლეთ ევროპაში! მცირე და წინა-აზიისში მან თითქო კიდევ განახორციელა იგი: ანკარა მოსკოვის კვალს მისდევს, თერანს სახელმწიფო მონოპოლია შემოაქვს გარეშე ვაჭრობისთვის.

თავის გულისთქმას რომ გაჰყვე, იქნებ წამოგცდეს: ახია მათთვის, ევროპის მმართველ წრეებისთვის! მართლაც, ომის შემდეგ მთავრობებმა დაჰკარგეს თავი, ერთმანეთის ქიშპობას მოუხდენ, მხამიანი გველიც—ბოლშევიზმი შემოიხარდეს და ენლა იგი უკვე ემუქრება მათ, ამ საშინელ უმუშევრობის დროს...

აუხდება მოსკოვს თავისი ნატვრა, მოაჯდება სტალინი დასავლეთის ბურჟუაზიას მსუქან ქეჩოზედ? არა, ცხადია, ამისი ძალა მას არ შესწევს, მათხოვრობს, პირიქით, მის კარზედ, მაგრამ მდგომარეობა სრულიად უზრუნველყოფილია, ვერც ამას ვიტყვით.

ევროპის წინაშე სდგას მთელი რიგი ძირითად კითხვებისა: ომის ვალეები და რეპარაცია, ეკონომიურ ფინანსური კრიზისები და უმუშევრობა, დემოკრატია თუ დიქტატურა, გერმანია-საფრანგეთის მორიგება და სხ. დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკის უბრალო თვალის გადავლება დაგვარწმუნებს, რომ ევროპის საუკეთესო ძალები ამ კითხვების მოგვარებისთვის მუშაობენ და, ვიმედოვნებთ, მათი ცდა ამოთ არ ჩაივლის.

კომორ სცნოვროგენ საპოთა სპარტოველოში

ჩვენ ბოლშევიკებს თავიდანვე აქტიური ბრძოლა გამოუცხადეთ, ვიბრძოდით და ვიბრძვით ხალისით, რწმენით, გატაცებით, რადგან ვიცით, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა და საქმე ბოროტებას სცემს და სამართლიანობას ექომაგება, მის აღდგენას ემსახურება.

ბოლშევიკების ათი წლის «საქმიანობა» საქართველოში უქერმეტყველესათ ამტკიცებს, რომ ჩვენი გზა სწორია და დღე-დღეზე უახლოვდებით საბოლოო გამარჯვებას. თვით ფაქტები, ბოლშევიკებისვე წყაროებიდან ამოკრეფილი, გაკვირვან მათ უბედურებაზე. არ არის დარგი ადამიანის აქტივობისა, სადაც ბოლშევიკებს არ გამოეჩინოს რეალური შემოქმედების აბსოლუტური არა-უნარიანობა და მორალური სრული არარაობა.

ვალაპარაკოთ თვით ფაქტები. «მუშათა და გლეხთა» ხელისუფლებამ მუშები და გლეხები ნამდვილ მონებათ აქცია. ამ გარემოებას ნათლათ გვიხატავს შემდეგი ადგილი ქარ. «კომუნისტი»დან, რომელიც ჩვენ უცვლელათ მოგვყავს: «ალაზნის ველი ამ ქამათ ნამდვილი ფრონტია—აქეთ კენაფი, იქეთ ბამბა. გაჩაღებულა ბრძოლა კულაკობასთან (იგულისხმე გლეხები), რომელიც მართლაც ყოველმხრივ გვიშლის ხელს. მინდორში სასტიკი დისციპლინაა: მკაცრათ ისჯება დაუდევარი, წარმატები და უპასუხისმგებლო, ორი საათით გაჩერდა სამი ტრაქტორი, რადგან ბაზიდან დროზე არ იქნა ჩამოტანილი ზეთი, თესვის შტაბის განკარგულებით დამნაშავე დაპატიმრებულ იქნა. ორ მონტიორს საჩემონტო სახელონში მიუხეობებიათ თავი დაშლილი სალენი მანქა-

ნისათვის და თვითნებურათ წასულან საქეიფოთ. ორივე დაპატიმრებულ იქნენ, მოეწყო მათი საჯარო გასამართლება... და სხვა... ქართული «კომუნისტი» № 117 (3072).

კითხულობ ამ სტრიქონებს და გაგონდება უსაშინელები ხანები კაცობრიობის ისტორიისა. როდესაც ადამიანს უბრალო ცხოველის ოდენა ფასიც კი არ ქონდა, როდესაც მას «ძლიერნი ამა ქვეყნისანი» ისე ეპყრობოდნენ, როგორც უსულა საგანს, მოსახმარ ნივთს. იძულებით შრომას თან ერთვის უბინობა და უქმელობა. «მუშების საერთო საცხოვრებელი ადგილები საშინელ ანტიჰიგიენურ პირობებშია. მთელი კვირეები გადის ისე, რომ სადგურები არ იგვება. საწოლები დამტვრეულია. არ არის მაგიდები, სკამები, ოთახები სავსეა მკბენარებით და მუშები იძულებულნი არიან გარეთ ათიონ ღამეები. თვითეულ ოთახში ხუთი კაცის ალაგას 15 კაცია მოთავსებული». «ზარია ვოსტოკა» № 223 (2385).

«საზოგადოებრივი კვების საქმე ტფილისში და საქართველოს სხვა რაიონებში მეტად უმზგავსო მდგომარეობაში იმყოფება. სადილების ხარისხი ძალზე ცუდია, რიგები, ჭურჭლის უქონლობა მოქმედობს მუშებზე... ლოთობა, განუწყვეტელი ინტრიგები,—აი, მუდმივი ატმოსფერა, რომელიც გამეფებულია ტფილისის «კოლპკების» ორგანიზაციაში. ტფილისში და მთელ საქართველოში საზოგადოებრივი კვება ბედის ანბარათაა მიტოვებული». ქართ. «კომუნისტი» № 184 (3139).

მოწერი შრომა, უბინობა, უქმელობა, აი ქართველი მუშის და გლეხის სვედრი. ცხადია ასეთ პირობებში შრომა ვერ იქნება ნაყოფიერი და ამ გზით ქვეყნის აშენება არ შეიძლება. ამას ხედავენ ბოლშევიკები და სიბრაზისგან დორბლებს ყრიან. აი რა ვკითხულობთ საქ. კომ. პარტ. ტფილისის კომიტეტის მოწოდებაში ტფილისის ორგანიზაციის ყველა უჯრედებისა და პარტიის ყველა წევრებისადმი: «ტფილისის მრეწველობამ ხუთწლედის მესამე წლის პირველ ნახევარში ვერ შეასრულა მიცემული გეგმები. შრომის დისციპლინა დაეცა ტფილისის თითქმის ყველა საწარმოებში, სამუშაო დღეების გაცდენა იხრდება. შვებულებიდან მუშები არ ბრუნდებიან (მაუდის ფაბრიკა, აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკა). გამოუცხადეთ მათ ზიზლი, გარიყეთ ისინი მუშათა მასისაგან და გაასამართლეთ რევოლიუციონური საწარმოვო ტრიბუნალებით». ქართული «კომუნისტი» № 187(3142).

ზიზლი და რეპრესიები საქმეს ვერ უშველის. შრომას, ფიზიკურია იგი თუ ინტელექტუალური, სუბიექტიური ხასიათი აქვს. მისი ნაყოფიერება უწინარეს ყოვლისა თვით პიროვნების მორალურ და ფიზიკურ მდგომარეობაზე დამოკიდებული. პიროვნება მორალურად შევიწროებული, სულიერ მოთხოვ-

ნილებათა დასაკმაყოფილებლათ ელემენტარულ პირობებს მოკლებული, მასთან უქმელობით, უსმელობით, ჩაუცმელობით, უბინობით ფიზიკურათ გალახული, ცხადია, ვერ იქნება შემომქმედი ძალა. ბოლშევიკებმა კი მშრომელი ხალხი ქრთიკული შიმშილით და მორალური დევნით პირდაპირ პირუტყვით აქციეს და დღეს მისგან შემოქმედებას, ღირებულებათა შექმნას მოითხოვენ და რომ მიზანს ვერ აღწევენ, გონება დაკარგული რეპრესიებში ეძებენ ხსნას, სწორედ იმ საშვალებას მიმართავენ სადაც უბედურების წყაროა და ასე უბედურებიდან რეპრესიები, რეპრესიებიდან უბედურება და ამ მოკვადობულ წრიდან ისინი გამოსავალს ვერ პოულობენ და ვერც იპოვიან.

თუ რამდენათ დიდია ნივთიერი გაჭირვება საქართველოში, ამას ნათლად დავინახავთ იქიდან უშუალოთ მიღებულ შემდეგ ცნობებიდან: ქათამი ფასობს 15 მან., პური (შავი) 2 მან. გირვ., ყველი 5 მან. გირ., ხორცი დაბალი ხარისხის 4-5 მან. გირ., სიმინდის ფქვილი ფუთი 30 მ., წყვილი ფესხცემელი 35-40 მან., წყვილი ქვედა საცვალი 22 მან., კალოში 17 მან. 60 კაპ., მაშინ როდესაც მუშის თვიური საშუალო ხელფასი უდრის 64 მან. და მასთან გადის თვეები ისე, რომ ეს ხელფასიც არ ექვდა.

აი რა ჯოჯოხეთი მდგომარეობაში ჩაადო დიქტატურამ ხალხი. ჩვენ ყოველგვარ დიქტატურის წინააღმდეგი ვიყავით და ვართ არა იმიტომ, რომ განყენებულ პრინციპიალობას ვებლაუქებით, არამედ იმიტომ, რომ უაღრესად რეალისტები ვართ: ხალხის სამსახური, დემოკრატიულ გზის გარეშე შეუძლებელია. სწორათ ხალხი ცდება, მისი შეხედულება და ინტერესი ერთიმეორეს ეწინააღმდეგება. მაგრამ ამ შემთხვევაშიც დემოკრატიულმა გზამ უნდა იხსნას ხალხი. პოლიტიკური დემოკრატია საუკეთესო სკოლაა, სადაც თანდათანობით იზრდება, იწვრთნება ხალხი და სრულ მოქალაქეთ იქცევა. ვინც სხვა გზით იარს, უქვევლათ უფსკრულს გადაეჩეხება. ამას მჭერმეტყველურათ მოწმობს კაცობრიობის მთელი წარსული. ამასვე ნათლად ვხედავთ დღეს ბოლშევიკების სამეფოში. მეთერთმეტე წელიწადი საქართველოში და მეთოთხმეტე რუსეთში ტანჯვა და წამება ხალხის ვითომდა კომუნისტების განსახორციელებლად, ჭეშმარიტად კი ჯოჯოხეთი შეიქმნა, სადაც ბოროტი სულნი დათარეშობენ და ახალახალ მსხვერპლს ეძებენ თავიანთ ქვენა ზრახვათა დასაკმაყოფილებლათ. ჩვენ ვებრძვით ამ ჯოჯოხეთს, ამ ბელზებელთა სროვას...

ჩვენ გვწამს ჩვენი გამარჯვება, რადგან ჩვენ ვართ ის რაც უნდა ვიყოთ და ვიბრძვით იმისათვის რაც უნდა იყოს გონების, მორალის და საერთო ადამიანობის თვალსაზრისით.

ოლია ნუცუბიძე.

პასუხად ქველს მებოგარს

«... სხვა რძემელია რძემ ათასთ წელთ ბრძოლა მედგარი
კამდეგლს და ხრულიად მტვრად არ აღგვილიყოს?»
ილია.

... მწერ: წელს ის აღარა ვართ, რაც შარშან ვი-
ყავით და შარშანდელიც ხომ ერთი საფეხურით და-
შვება იყო შარშანწინდელთან შედარებითო. კარგი
საქმეა მოთმინება, მხნეობა, მაგრამ ხომ იცი ბოლოს
ყოველგვარი მარაგი შეიძლება დაილიოს, ამოიწუ-
როს და მოგესხნება ადამიანის ბუნებაც იმ ზღაპ-
რის ჯადოსნურ ქისას არა ჰგავს, რომლიდანაც ოქ-
როებს იღებდნ და იქი უღვევლად ახალი ჩნდებო-
და. დავილაღეთ ჩვენც, დავიწურეთ... აი, ათი წელიც
წვიდა; ჯველობისა და ნაყოფიერ შრომათა ხანა
სხვის კარზედ უკვალოდ და უშედეგოდ განქრენ. ეს
წელი და ვინ იცის—კიდევ რამდენი წლები მოგვი-
ხდეს ეს ლოდინიო. და ბოლოს დასძენ: ნურავინ
მოგვთხოვს შეუძლებელსა, ჩვენც ხომ მარტო კაც-
ნი ვართო...

პაი-პაი, რომ კაცი ვართ, მაგრამ არც ის უნდა
დავივიწყოთ, ჩემო მეგობარო, რომ ქართველნი
ვართ. და განა ეგ არაფრის მოქმელია?

ნაღვლიანად ნუ გაგეღიმება—ქართველობა გამ-
ძლეობას და გამწეობას ნიშნავს. ქეშმარიტად, რა-
ღაც მისნური ძალა აქვს ამ პატარა ერსა, ვინც ორი
ათას წელზე მეტი შეინახა დაუძინებელ და ძლიერ
მტერთ უზაგულ ჩვენი მშვენიერი ქვეყანა, რომე-
ლიც ამ ბუმბერაზ და ნახევრად ველურს ქვეყნებს
ნატვრის თვალად გარდაქციედა.

მართლაც, დიდ ილიასი არ იყოს—რაღაც იდე-
მალი თვისებაა, რომელიც ჩვენი მატინეს პირველ
ფურცლებიდანვე გამოსჭვივის და გვასწავლის,
რომ ჩვენთ ძველთა ძველთ ჩვენის ცხოვრების საძი-
რკველშიდ მართლაც მაგარი ქვა ჩაუდგამთ; ამის მი-
ზენითაა, «რომ უცხო თემთა ხარბობას ეს მშვენიერ-
ად შემკული წალკოტი სრულად მტვრად მიიწი-
ვერ უქცევიათ...»

არ ვიცი, რომელ ქვეყანას უფრო მიუდგებოდა
ძველთა თქმულება ფენიქსუნდა! «ქართლის ბედი»-ს
არსშიდ მართლაც სუბრობს «ფენიქსობა»... და ეს
იმ უცნაურ მაგარ ქვისა გამო, ჩვენთ შორეულ წინა-
პართ რომ დაუდგამთ მის საძირკველს, თორემ აბა,
ამდენის სტერეოტიპიულობით და სიუხვით ნახმა-
რი ზმნები, ჩვენმა მატინემ რომ იცის «გააუკაცრი-
ელა, მოაოხრა, მოსრნა, იავარა—ჰყო»—განა მარტო
საფლავებს და დიდთა პალატთა ნანგრევებს არ გვი-
ანდერძებდენ?

მაგრამ, როგორც ხედავ «მინც ბრუნავს» ეტლი
ივერიისა, და თვით დღეის უსაზინელეს და უშემკინ-
ვარეს ეამს თუ კი სადმე წინააღმდეგობის და ვაჟკა-
ცურ თავდადების ხმა გაისმის გასისხლიანებულ
«ერთ მეექვსელს» სივრცეზედ, ეს ყველაზედ ადრე
ჩვენი ქვეყანაა.

და განა ამან ძალა არ უნდა მოგვცეს და «გამოლეულ»
მოთმინების მარაგი ხელახლა არ უნდა შეგვივსოს?

არა, ჩემო მეგობარო, მენ გეტყობა ცალი თვა-
ლი მინც ამ ხანად თავის მძიმე საკითხებით დატვი-

რთულ ევროპისაკენ გიჭირავს და ტრადიციული
იმედები შევლისა რა დავიბერდა, გგონია—საქართვე-
ლოს აღდგომის გზაც გავიგრძელოდა.

მაგრამ ამ დროში თვით ქართველს ხალხში ნე-
ლა გროვდება და იზრდება ახალი ძალა, თავს იყრის
ნორჩი ენერგია და სქელ ყინვის ქვეშ პატარა ნაკად-
მა თვალი აიხსნა... როცა ის გაძალოვდება და ყინ-
ვას მკერდით მიაწვება, მაშინ უფრო მოგვიგონებს
ევროპს და არა ევროპაც. ეს მოხდება, რადგან არ
შეიძლება ერთბაშად უკუ შებრუნდეს მრავალ ათას-
თა წელთა წესი და მსვლელობა და რადგანაც ვიცით
თილისმა იმ მაგარ ქვისა, ჩვენს საძირკველს რა ჩა-
უდეს კურთხეულმა წინაპრებმა.

აი, ამ ქვისაკენ, საქართველოს წარსულთა დრო-
თა «რვეულისაკენ» უნდა ვიბრუნოთ ესლა პირი—
ხელახლა გავშალოთ «ცხოვრებაი ქართლისაი» და
მაშინ აღარ მეტყვი, ჩემო განაწამებო მეგობარო,
რომ «მარაგი» გამოილია და მოთმინებაც წვრილს
ძაფზე ჰკიდიო. ეს «ქართლის ცხოვრება» გავისანთ-
ლავს მაგ ძაფსა და ძლიერ თასმად გავიხდის. ის მო-
გვრის უშირეტელ ძალას, ხოლო უმისოდ კი მართ-
ლაც რომ უნორთუმოდ სპილო ვართ. ამ ჩვენის ცხო-
ვრების სათავეს რა მოგვწყვიტეს, სწორედ «ამიტო-
მაც ბევრში უთავბოლობა გვეტყობა, არაფერი სა-
ქმე არ გვიხერხდება და აქეთ-იქით ვასკდებით თავს
ბრუ დახვეულ კაცივით და ვერა გამოგვიტანია რა».

იცი ვის უთქვამს ესა? ჩვენს დიდ ილიას ჯერ კი-
დევ ამ ორმოცი წლის წინ და რა ცხოველმყოფელია
ეს დღესაც, რაოდენ სიბრძნეს და ვასაოცარ მკვეთრ
ძალას ახვევს ეს ჩვენი დარაჯი და მოჭირანხულე
სხარტად შეკრულს წინადადებაში...

და განა მის შემდგომ კიდევ ბევრს უთქვამს ასე
ძალუმად «სიტყვა ქართული»? მისი ავიცა და კარ-
გიც? და სწორედ ამ ილიამ დაიძახა თავისის ძლიე-
რის ხმითა ამ ორმოცი წლის წინად (და უფრო ად-
რეც) და გვასწავლა, თუ სად უნდა ვეძიოთ უღვევილი
მარაგი მხნეობა გამძლეობისა განსაცდელის ეამს.

«ერი, რომელსაც ახსოვს ეგ თავისის ერთიანის
სულის წირვა, ეგ თავის დიდ ბუნებოვანნი კაცნი და
დიდთა საქმეთა ამბავი, ჰკეთდება, მხნედება, ჰგუ-
ლოვანდება და...»

«ამ ღირსებათა პატრონი ერი არ დაუფარდება,
არ დაუძაბუნდება არავითარს ზემოდ მოსეულს
უბედურებასა და განსაცდელსა...»

«იგი გულ გაუტყვენოდა იბრძვის, იღვწის გამხ-
ნევებული თავის მამა-პაპის მაგალითითა დი ანდერ-
ძითა და მარტო გულგაუტყენელი მებრძოლი დაინა-
რჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს...»

ქეშმარიტად უკვდავია ილიას სიტყვები. უკვდა-
ვია ქართველი ერი, ძლიერია მისი სული და ნურა-
ვინ გაბედავს და ნუ იტყვის: დგება დრო ივერიის
ეპიტაფიის დაწერისა!

სოფიო ლეონიძისა,

ვის მბრძვის ან რას იცავს საქართველო

ქართველი ერის ბრძოლა თავის კუთვნილ დამოუკიდებლობის აღსადგენათ, ისევ გრძელდება; თერთმეტმა წელმა განვლო მას შემდეგ, რაც დაწყებული ბრძოლა ერთი წუთითაც არ შეჩერებულა. უთვალავ მტერმა ჩვენს ერს, ფარხმალი ვერ დააყრევინა!

საკვირველია, მაგრამ ეს ასეა!

მსოფლიო ომი სულ ოთხი წელი გაგრძელდა, შეჩერდა თუ არა სისხლის ღვრა, ომში მონაწილენი თავთავიანთ კერას მიუბრუნდნენ, საკუთარი ცხოვრების ხელახლა მოსაწყობათ; გამარჯვება, გამარჯვებულსაც ძვირათ დაუჯდა!

ღიან, სისხლის ღვრამ ოთხი წელიწადი მოინდომა, ეს იყო ომი, შედარებით სწორთა შორის, ომი სამიწილი და კაცობრიობისათვის დიდი შედეგების მომადგირე.

რალას უნდა ამბობდეს მიუღვამელი მსაჯული, რომ მოიგონებს საქართველოს, უკანასკნელის ბრძოლებს, თავდადებებს, სისხლის ღვრას უკვე თერთმეტი წლის მანძილზე; და მერე, ვისთან ბრძოლაში?

ისევ რუსეთთან, თავისუფლების დაუძინებელ მტერთან.

საუკუნის მანძილზე ჯვარხედ ცმულ საქართველომ, მკვდრეთით აღდგომა მოახერხა; დაკორტნილ ეროვნულ სხეულის მოშუშებას სამი წელიც არ დასცალდა, ისევ ძველი ამბავი... ჩვენთვის უკვე კარგათ ნაცნობი რუსეთი... მისი ჩვენზე ქურდულათ თავდასხმა... დამკვიდრება და ცდა გამარჯვებისა საქართველოში; დაუპირდაპირდა თავისუფლებას—მონობა; აღორძინებას, აღმშენებლობას—ნგრევა გაპარტახება!..

რამდენი სისხლი გაიღო ჩვენმა ერმა თავის გრძელ წარსულში, რომ მშვიდათ ეცხოვრა და საკუთარი თავის ბატონი თვით ყოფილიყო. კვლავ მონადა უბედურება, შემოგვესიენ «ურჯულთა» და პატარა კახმა მორწმუნე ერის სახელით აღარბყრო ზეცას ხელები, მაგრამ ქრისტემ მაშინ ველარ გვიშველა; ბედმა «მორწმუნე» რუსეთს მიგვანდო და მას შემდეგ კი ნათელი გახდა ჩვენი «მფარველი» ურწმუნო სარწმუნოებაც. «ღვთისმშობლის წილხვედარ ქვეყანა»ს დასამარებას ცოცხლათ უპირებდა, მაგრამ ომი, საკვირველებავ, საქართველო არ მოკვდა! ძვირათ დაგვიჯდა საქართველოს სულიერი და ნივთიერი ავლა-დიდების დაცვა, გადარჩენა; დღეს კი, ისევ ის გზა გადაგვეშალა, ისევ მსხვერპლი, ღირსეულ წინაპართა ღირსეულ მოღვაწეობას ენლაც ვსწავლობთ და მთელი ერი სათანადო თავდადებით განაგრძობს მოკმედებას, მტრის მიერ გათელილ უფლების აღდგენა-დაცვისათვის.

ღიან, ჩვენ, ჩვენი უფლება გვალაპარაკებს, ნაცნობი ძლევა-მოსილი ერთა მიერ და უფრო წინად კი იმის მიერ, ვისაც, როგორც გამოირკვა, დაპყრობა ერის, უკანასკნელის განთავისუფლებათ მიაჩნია, ყაჩაღობა-ავანაჯობა კი პატიონება-ღირსებათ! თუ ვის ებრძვის საქართველო, ჯერ კიდევ შეიძლება ბევრმა არ იცოდეს, ეს არის მიზეზი არა მარტო ქარ-

თული საკითხისადმი ნაწილობრივ გულგრილობისა, არამედ ეს იქნება მიზეზიც, შეიძლება საბედისწერო, საკაცობრიო მშვიდობიანობის დამყარების საქმეში, რომლისთვისაც დღეს ასე თავგამოდებით იბრძვიან განათლებულ ერების საუკეთესო შვილები.

მსოფლიომ უშორესი მანძილები განვლო, ვიდრე დღევანდელ განვითარებას მიაღწევდა და დღეს, როდესაც სურთ უხვშ ძალას, როგორც მიზეზს მშვიდობიანობის წონასწორობის დარღვევისა, ერთმანეთის გაგება და შეთანხმება დაუპირდაპირონ, დღეს როდესაც იარაღის ქაღურხს ყველა ზიზღით იხსენიებს და როდესაც აღარავის სურს ადამიანის პირველყოფილ მდგომარეობას დაუბრუნდეს, რათა აცდენილ იქნეს ეგრეთ-წოდებული «კაცთა ქამიაობა», განა შეიძლება ამ დროს გონიერ არსებამ არ იცოდეს, თუ რა ხდება მსოფლიოს ერთ ადგილას, რომელსაც «მშრომელთა ქვეყანა» ეწოდება ანუ წითელი მოსკოვის სახელმწიფო? ეს ხომ ის წითელი მოსკოვია, რომელიც მსოფლიოს წარმოუდგენელი სამოთხის მოწყობას პპირდება ამ ქვეყნათ!

განა ყველამ იცის, თუ რა სამოთხეა დღეს მოწყობილი, თვით რუსეთის მიწა-წყალზე? განა ყველამ იცის, თუ რა დამართა მოსკოვმა თავისუფალ საქართველოს, უკრაინას, აზერბეიჯანს, მთას, თურქესტანს? ამ ერების დაპყრობა, ცარცვა-გლეჯვა, საუკეთესო მამულიშვილთა წარმოუდგენელი წამება, დაუსრულებელი სისხლის ღვრა, პატიოსან მკვიდრთა ტიალ ციმბირისაკენ «გასტუმრება» და ჩვენს მიწა-წყალზე მედროვე-ერთგულთა ჩამოსახლება, სიმშილი, სენი, გლოვა, ცრემლები. განა ყველაფერი ეს საკმარისი არ არის, რომ დარწმუნდეს ადამიანი მოსკოვის «კაცთმოყვარეობის» და «მშვიდობიანობის» განზრახვებში?

გაუგებარია ეს ყოველივე?

შეიძლება იმტომ რომ ჩვენი წამება და ტკივილი სხვას ადვილათ არ გაეგება! შეიძლება!

მაგრამ განა ვისმეს შეუძლია დამალოს ის შიშველი სინამდვილე, რომელსაც ადგილი აქვს ყოველდღე, მსოფლიოს ყოველ კუთხეში, სადაც მოსკოვის სისხლიანი ხელი, მშვიდობიანობის ამღვრევას ცდილობს? განა შეუძლია სინდისისაგან სულ არ გარეცხილ ადამიანს, სთქვას გულახდილათ, რომ არ გრძნობდეს მოსკოვის «უსისხლო მოღვაწეობას»? ვინ დასახელებს ისეთ «საქმეს», სადაც მოსკოვის ნაკვერცხალი არ გუზგუზებდეს, რომელიც განათლებულ კაცობრიობას მთლიანათ გადაწვას უქადის!

განა მართლა, მსოფლიო ჯერ უნდა გადაიწვას, განადგურდეს უნდა საუკუნეების სიგრძეზე დაგროვილი დოვლათი სულიერი და ნივთიერი, რომ შემდეგ ამოიღოს ადამიანობამ ხმა და სთქვას ჯეროვანი სიტყვა? ეს ხომ პირწავარდნილი ბლოშვიკური აზროვნებაა! განა დასახევბია ერთი წუთითაც კი, რომ წითელი მოსკოვის «განახლება», «მიღწევანი», «სიბრძნე» გახდეს უნდა მემკვიდრე განათლებულ კაცობრიობის ნაამაგარისა?



ნურავის ეგონება, თითქო განზრახვა გვექონდეს, მოვითხოვოთ, ჩვენი გულისათვის, ვინმემ თავისი ზარბაზანი, მოსკოვის მტაცებლებს დაუშინოს. არა!

მაგრამ ერთ რამეს კი მოვითხოვთ, ამის უფლება გვაქვს, როგორც წამებულ ვრს და სრულუფლებიან წევრს კაცობრიობის ოჯახისა:

ყოველ სახელმწიფომ, ერმა, მოქალაქემ დროზე აუღლოს ალღო შექმნილ მდგომარეობას, წითელი საშინელების საქმიანობით გამოწვეულს!

მშვიდობიანობა განსაკუთრებით ამ მხრივ არის განსაკუთრებული!

აღამიანობამ უნდა დაიცვას თავისი თავი!

ჩვენ კი ღრმათა გვწამს, დაპყრობილ ერების ბრძოლაში, მხოლოდ საკუთარ ძალებს უნდა დავეყრდნეთ. თავს ნურავინ მოიტყუილებს, თითქო ვიღაც რაღაცას მოგვეცემს თავისუფლების მოსაპოვებლათ.

ბოლშევიკებიც ხომ ამას გაიძახიან, თითქო ქართველი ერი მუდამ შავ ზღვას შესცქერის, სადაც არის ვიღაც გამოჩნდებოდა; ეს ბოლშევიკების ხრიკია, მშვიდობიანობის მოყვარულ ერის ასაწიოკებლათ. საქართველო, რომ მართლა ასეთი მეოცნებე იყო ე. ი. სწვისაგან გამოეღოდეს მზა მზარეულ თავისუფლებას, მაშინ საქართველო თვით იქნებოდა პირველი მესაფლავე საკუთარი უფლება-ღირსებისა და მაშინ ბრძოლა მტრის წინააღმდეგ, მხოლოდ უაზრობა იქნებოდა.

ჰაი, ჰაი, რომ მტერს ძალზე უნდა ასე იყო, მაგრამ ეს ასე არ არის!

და თუ საერთაშორისო სამართლის ყურადღება ჩვენსკენ არის, ეს იმიტომ რომ საქართველოს ერთგული და სახელმწიფოებრივი უფლების დაცვა, მის

მოვალეობას, სინდისს და ზნეობას შეადგენს. ჩვენ კარგათ ვიცით, რომ მონობის უღლის გადაგდება ჩვენივე ძალებით უნდა მოხდეს.

თავისუფლებას მოპოვება სჭირდება თავდადებით და მსხვერპლის გაღებით. ყოველი ქართველი-მამულიშვილი თავის მოვალეობის მოხდას, ერთხელაც არ შეჰყოყმანებია. ამაშია ერთგული შეგნება!

საერთო უბედურებამ, მეზობელ ერებთანაც დაგვაკავშირა.

მწარე გამოცდილებამ ბევრი რამ გვასწავლა. გადამწყვეტ დროისათვის ერთად ემზადებიან დაპყრობილი ერები, რომ ერთხელ მოპოვებულ თავისუფლებას, უძლეველი სიმაგრე აუგონ; თავისუფალ ერთა თავისუფალ კავშირისათვის დაწყებული ბრძოლა—საერთო გამარჯვებით დამთავრდება!..

მაგრამ საქართველო მარტო თავის საქმისთვის არ იბრძვის. იცოდეს უნდა ყველამ, რომ ის ერი, რომელიც საერთაშორისო მშვიდობიანობის მტრის წინააღმდეგ იბრძვის არის—საქართველო.

1921 წლის თებერვალ-მარტის დღეებში ქართველი მამულიშვილნი, რუსის ხიშტებით განგმირულნი, ეცემოდნენ ბრძოლის ველზე ერთად ერთი რწმენით: სამშობლოს თავისუფლებისთვის სიკვდილი—საკაცობრიო ღირსება!

1924 წ. აგვისტოს თვე—საერთაშორისო სინდისის აჯანყება—მტარვალთა წინააღმდეგ! გადის წლები, წამება გრძელდება, მაგრამ დროშია საქართველოს ჯერ არ დახრილა, არც დაიხრება, რადგან ქართველ ერმა ღირსეულათ უნდა დაიმსახუროს, საკაცობრიო მშვიდობიანობისა და ზავისათვის წამებულ მოციქულის სახელი.

ვანტ. მესხი.

მოსკოვი შინეთ და მხლა

X.

სტალინი არ ხუმრომს და მთელ მსოფლიოს უნდა დაუმტკიცოს საქმით, რომ რუსეთი ყველაფრის შესაძლებლობის ქვეყანაა, მან მარქსიზმიც და ლენინიზმიც (? რედ.) თავდაყირა დააყენა და რუსეთის ჩამორჩენილი, უკულტურო სოფელი «სოციალიზმის ლიანდაგზე გადაიყვანა». და ეს მოხდა არა მატერიალური და სულიერი კულტურის წინასწარი სათანადო მომზადებით, არამედ ზვიდიან, მოსკოვურათ—ბიუროკრატიული ბრძანებით. ერთ მშვენიერ დღეს, მას არც აცივა და არც აცხელა, ადგა და მთელი სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციით გარდაქმნა ბრძანა.

თვით ის ფაქტი, რომ სტალინს ასეთი გიჟური აზრი დაეებადა თავში. გასაკვირი არ არის; გიჟები და ფანტაზიორები ყოველთვის ყოფილან. ზოგჯერ სახელმწიფოს სათავეშიც, განსაკუთრებით რუსეთში. და იქნება გასაკვირი ის არის, რომ ამ სიკიყეს გასავალი მიეცა, რომ მას აღმოუჩნდნენ მიმდევრები და რომ რუსის გლეხობამ მათ შესაფერისი წინილ-

მდევობა ვერ გაუწია და ბრძანების თანახმათ «კოლხოზებს» მასიურათ მიაწყდა.

ზოგიერთმა ეს ფაქტი რუსის გლეხის სიმწიფით ახსნა. ესერების ერთმა ნაწილმა ამაში თავისი თეორიის—რომ რუსის გლეხობაში სოციალისტური ფსიქოლოგია არსებობს—დაინახა, ხოლო ევროპის ზოგიერთმა სოციალისტებმა მას შეხედეს, როგორც დიდ ახალ სოციალისტურ ექსპერიმენტს. არც ერთი და არც მეორე სიმართლე არ არის.

ამ ფაქტმა ერთხელ კიდევ დაგვანახა, რომ რუსის გლეხი იმ მონურ ფსიქოლოგიისაგან, რომელიც მასში ისტორიულათ დამუშავდა, ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლდა. რომ იგი, მიუხედავად 12 წლის რევოლუციის სკოლისა. პოლიტიკურათ საკმაოთ ვერ მომწიფდა და ორგანიზაციულათ ვერ შეკავშირდა. რათა თავისი ეკონომიური უფლებების დაცვა შესძლოს. ამ ფაქტმა დაგვანახა, ის რომ ბოლშევიკურმა დიქტატურამ, 13 წლის განმავლობაში, საერთო ყველა კლასები და კერძოთ გლეხობა, მართლაც რომ გასტენა და გაანადგურა. და თუ სახსვებით

ვერ მოსპეს გლეხობა, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ეწინააღმდეგება სახალხო მეურნეობის ბუნება და საბ. კავშირის ობიექტური მდგომარეობა, რომლის გადალახვა ბოლშევიკებსაც არ ძალუძოთ. სტალინმა «დაიხია უკან» არა იმიტომ, რომ შეხვდა ორგანიზაციულად შეკავშერებულ გლეხობის წინააღმდეგობას, არამედ იმიტომ, რომ ეკონომიურად კოლექტივიზაცია აბსურდი აღმოჩნდა და ბოლშევიკური ხელისუფლების ყველა ანგარიშები დაფუძნ. სტალინის სოფლის კოლექტივიზაცია არც სოციალისტური ცდა არის. იგი არაფრით არაგავს იმ კომუნისტურ საზოგადოებებს, რომლებსაც სოციალისტები ევროპასა და ამერიკაში აარსებდნენ. ისინი ყველანი ნებაყოფლობითი და თავისუფალი ორგანიზაციები იყვნენ, ბოლშევიკური «კოლექტივიზაცია» კი, ძალით არის გარედან ნაკარნახევი. სახელმწიფო მათ არც დაარსებაში და არც მუშაობაში არ ერეოდა. მაშინ როცა ბოლშევიკური კოლექტივიზაცია სავსებით საბჭოური სახელსწიფოს შემოქმედება არის. იმიტომ სტალინის «კოლექტივიზაცია» იმდენი აქვს საერთო სოციალიზმთან, რამდენიც მოსკოვური სახელმწიფოს საერთო მიწათმფლობელობას—სოციალიზმთან. ამ მხრით სტალინის წინაპრათ უნდა ჩაითვალოს ცნობილი არაქრევეი და არა სენ-სიმონი, ფურიე და მით უმეტეს მარქსი და ენგელსი. სტალინის კოლექტივები თითქმის არაფრით არ განირჩევიან არაქრევეის სამხედრო სოფლებიდან, რომელიც მან ალექსანდრე I სურვილის თანახმად შემოიღო. იდეა ეკუთვნოდა ალექსანდრე I, ხოლო პრაქტიკულად მისი განხორციელება მის ერთგულ ყმას არაქრევეს.

ალექსანდრე I-ს სამხედრო სოფლების აზრი დაებადა სამხედრო საჭიროების გამო ევროპაში ყოფნის დროს. საქმე იმაში იყო, რომ პრუსიამ ამ დროს შემოიღო გენ. შარნგორსტის პროექტის თანახმად საყოველთაო სავალდებულო 3 წლიანი სამხედრო ბეგარა, რომელიც ერთი მხრით ამოკლებდა ხარჯებს და მეორეს მხრით საშვალელებს აძლევდა მობილიზაციის წყალობით ფაქტიურად გაეწვია მეტი ჯარი, ვინემ ამის ნებას აძლევდა ნაპოლეონთან დადებული ხელშეკრულება.

ფინანსური მდგომარეობა რუსეთსაც ძლიერ ცუდი ქონდა, მაგრამ ალექსანდრე პირველს არ შეეძლო მაშინ რუსეთში განეხორციელებია შარნგორსტის სისტემა ბატონყმობისა და უფროობის გამო. იმიტომ მან მეორე აზრა იხსენსა ევროპიდან. 1810 წ. მან შემთხვევით წაიკითხა ვილჰელმ ფრანკი სერვანის ბროშურა, სადაც ავტორი მთავრობას ურჩევდა სახლერების გასწორებ დაესახლებია სპეციალური მოსახლეობა, რომელიც ერთსა და იმავე დროს სოფლის მეურნეც იქნებოდა და სახლერების დამცველიც. ალექსანდრეს ეს აზრი ძლიერ მოეწონა და უბრძანა გადაეთარგმნათ ბროშურა რუსულად არაქრევეისათვის გასაცნობათ.

არაქრევემა, რომელიც თავის განათლებით სუსტი იყო, უკრიტიკოდ მიიღო თავისი პატრონის აზრი და 1811 წელს შეუდგა პრაქტიკულად განხორციელებას. პირველი სამხედრო სოფელი დაარსეს მო-

გილიოვის გუბერნიაში. სადაც ერთი საზოგადოებრიდან პირწმინდათ გადასახლეს მკვიდრი მცხოვრებნი და მათ მაგიერ ჩაასახლეს ელექციის პოლიკი. საზოგადოება დაუმორჩილეს სამხედრო უწყებას, უბრძანეს ცოლშვილიანი სალდათებისაგან შეექნათ ცალკე ბათალიონი და ამ მიზნით გამოეწერათ მათი ცოლშვილი. უნდოდათ მათ ეს თუ არა მაინც, ეს უნდა ყოფილიყო მთავარი კადრი სამხედრო სოფლებისა, ხოლო უცოლშვილო სალდათები უნდა მიეცათ ცოლშვილიანებისათვის. როგორც «ბატონაკები», რისთვისაც მათ უნდა მიეღოთ ცოლშვილიანებისგან სრული კმაყოფა. აქედან არაფერი გამოვიდა, ვინაიდან პოლონეთთან ომის გამო ელექციის პოლიკი გაიწვიეს და უმეტესობა დაიღუპა.

მიუხედავად ამისა, ალექსანდრე I-მა 1816 წელს ისევ მიანდო არაქრევეს სამხედრო სოფლების დაარსება. ცდა მოახდინეს ნოვგოროდის გუბერნიაში, სადაც არაქრევეის მამულები იყო, მთელი «ვოლოსტი» გამოაცხადეს სამხედრო სოფლად. მაგრამ ესო მკვიდრი მცხოვრებლები კი არ აყარეს, არამედ თვითონ ისინი გადააქციეს სამხედრო პირებათ, გაპარსეს, ჩააცვეს სამხედრო «მუნდირი», შეზღოილეს ყაზარმული წესები და კმაყოფაზე სახლებში ჩაუყენეს უცოლშვილო სალდათები, ისე როგორც ეხლა, მუშათა ბრიგადებია.

მთავრობა ცდილობდა რაც შეიძლება კარგად დაეყენებია სამხედრო სოფლის მეურნეობა, აძლევდა მუშა საქონელს, სესხს, აუშენდა გვეგითი ახალი სახლები და სხვა. გარეგნულად ძლიერი წარმატება ეტყობოდა, განვითარდა სელოსნობა, მეურნეობა და თავის საჭიროებისათვის თითქმის ყველაფერს თვითონ ამზადებდნენ. ერთგვარი ეკონომიაც კი გააკეთეს და 50 მილ. თანხა შეაგროვეს. რიცხვიც გაიზარდა. 1825 წელს სამხედრო სოფლების კარბუსი შესდგებოდა ნოვგოროდის ქვეითა ჯარის 90 ბათალიონისგან და უკრაინის 36 ბათალიონი ქვეითა ჯარისა და 249 ესკადრონისაგან.

ასე რომ ამ მხრით, მაშინდელ მასშტაბის მიხედვით, არაქრევეს მეტი «მიღწევები» ქონდა, ვინემ სტალინს აქვს დღეს. წარმოიდგინეთ, რომ არაქრევემა ამ «მიღწევების» გამო ერთგვარი ქებაც კი დამსახურა ისეთი გამოჩენილი პირებისაგან, როგორიც იყვნენ—სპერანსკი, გრაფი კოჩუბეი, ბას. კაპფენგაუზენი და ისტორიკოსი კარამზინი.

მაგრამ რუსები რომ იტყვიან—ნე ტუტ-ტო ბილო. შემდეგ აღმოჩნდა, რომ ყველაფერი ეს მოჩვენებითია, რომ სინამდვილეში დიდ უკმაყოფილებას, უთაურობას, ბოროტმოქმედებას აქვს ადგილი და რომ სამხედრო სოფლები თავის დანიშნულებას არ ამართლებენ და ამავე დროს დიდ უკმაყოფილებას იწვევენ ხალხში.

«ამ სოფლებზე, სწერს ისტორიკოსი კარნილოვი გაწეული იქმნა დიდძალი ხარჯი, რათა ისინი მოეწყობათ კარგათ და გვეგმიანათ. მეორე მხრით მოსახლეობათა ცხოვრება შებოჩილი იყო წვრილმანი და უსიცოცხლო სამხედრო რეგლამენტაციით: ყოველი მეურნეობა იყო დაყენებული უფროსების უშუალო მხედველობის ქვეშ; შეეძლოთ არასასურველი



მეურნისთვის ჩამოერთმიათ მთელი მეურნეობა და სახლებით გადაესახლებიათ საზოგადოებიდან; სამხედრო დისციპლინის დამორჩილებული იყვნენ, როგორც მამაკაცები, ისე დედაკაცები. განსაზღვრული წლოვანების ბავშვებს ართმევდნენ მშობლებს და რიცხვდნენ კანტონისტებში. მოსახლეობა, მიუხედავად მატერიალური სარგებლობისა და პრივილეგიებისა, ამ სისტემას სიძულვილით ეკიდებოდა, რადგან ეს იყო უარესი მოწონება. ვინემ ბატონყმობა. ხალხში დარჩა მისი მწარე მოგონება, როგორც რალაც უცნაურ ცდის. რომელსაც მიზნათ ქონდა დასახული გადაექცია ქვეყნის ერთი ნაწილი სამხედრო ყმებათათ. (კარნილოვი «კურს ისტორ. რუსიი» ტ. I. გვ. 209).

მიუხედავად ყველა ამისა. სამხედრო სოფლებში დიდხანს იარსებეს და მათ ლიკვიდაცია უყვეს მხოლოდ ნიკოლოზ I დროს მას შემდეგ, რა რომ მათში აჯანყებები გახშირდა.

ერთი საუკუნის შემდეგ ბოლშევიკებმა სოციალიზმის სახელით იგი ისევ აღადგინეს. თუ ბატონყმური რუსეთისათვის სამხედრო სოფლები აუტანელი აღმოჩნდა, მით უმეტეს იგი შეუფერებელი და აუტანელია თანამედროვე ცხოვრებისათვის. სოციალიზმის ფირმა შინაარსს არ ცვლის.

რომ ყოველსავე მას, რასაც დღეს ბოლშევიკები აკეთებენ, სოციალიზმთან არაფერი საერთო არ აქვს. ეს იძულებულია აღიაროს პ. სტრუვემაც, რომელიც 12 წლის განმავლობაში სოციალიზმის სახელის გასატეხათ, მხოლოდ იმას ამტკიცებდა, რომ რასაც ბოლშევიკები აკეთებენ, ნამდვილი სოციალიზმი. ეხლა საჯაროთ აცხადებს: «ვერავითარი ტრაქტორები, ვერავითარი ამერიკანიზაცია, ვერავითა-

რი უღმერთობა, ვერ დამალავს ჩვენგან იმას, რომ «ენეშტორგი» არის დამახინჯებული და გაფართობული კომუნისტური გამოცემა მოსკოვის მეფის საგარეო ვაჭრობის, რომ იძულებითი დამხადება და კოლხონები გვაგონებენ მე 18 საუკუნის რეკვიზიციებს დამახინჯებული სახით, და რომ ბოლშევიკური კონცესიები გვანან მოსკოვური სახელმწიფოს ამავე დროის კონცესიებს. ერთი სიტყვით, კომუნისტური დროშის ქვეშ აღდგენილია წაბილწული სახით მოსკოვური რუსეთი» (გ. «რ. ისლავ.» 1930 წ. 12 აპრ.).

რუსეთის საუკეთესო მცოდნე და დაუინტერესებელი პირი—ჩეხოსლოვაკიის რესპუბლიკის პრეზიდენტი თ. მასარიკი თავის წიგნში «მსოფლიო რევოლუცია», ამბობს: «რუსებს არ ძალუძთ განახორციელონ მარქსისტული სოციალიზმი. ისინი მთლიანათ ჯერ კიდევ მეტათ უკულტურონი და ცარიზმიდან გაფუჭებულნი არიან, რომ შესძლონ გაგება და განხორციელება მარქსის შეხედულებისა კომუნისტულად, როგორც ისტორიული პროცესის დასრულებული სტადიის. მასში, რასაც ლენინი და მისი მიმდევრები აკეთებენ. შეიძლება იყოს კომუნისტის წვრილმანები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში—კომუნისტები. რუსული ბოლშევიზმი და კომუნისტები ერთი და იგივე არ არის, უკეთეს შემთხვევაში მას შეიძლება ვუწოდოთ პრიმიტიული სახელმწიფო სოციალიზმი და კაპიტალიზმი. ბოლშევიზმი ბაკუნისტულად უფრო გავს, ვინემ მარქსიზმს... ჩემის აზრით მასარიკის ეს შეხედულება ბოლშევიზმზე, სწორია, და რაც უფრო მეტი დრო გადის, ბოლშევიზმი და რუსეთის სინამდვილე, ამ აზრს მით უფრო ამართლებს.

კაპი.

საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა

საქართველოს გაერთიანება და
ვანგებრივი წარმატება.

უკვე მერვე საუკუნის დასასრულიდან მოყოლებული თვითელ ზემოდასახლებულ ქართველ სახელმწიფოებრივ ერთეულთაგან საქართველოს გაერთიანებისათვის ცდილობდა. ორი საუკუნის განმავლობაში სწარმოებდა ეს ბრძოლა, სანამ იგი მთელ საქართველოს გაერთიანებით არ დამთავრდა.

მეთე საუკუნის დამდეგიდან გამარჯვება ცხადათ დასავლეთ საქართველოს მეფეებისაკენ გადიხარა, რადგან ქართლიც მათ შეეერთეს. მაგრამ საქართველოს სრული გაერთიანება ბაგრატ მესამის მეფობაში მოხდა. რაკი აფხაზთა სამეფო საგვარეულოში მამრობითი სქესის ტახტის მემკვიდრე აღარ იყო, ამიტომ ბაგრატ მეფემ ვითარცა გიორგი აფხაზთა მეფის დისწულმა—977-8 წ. აფხაზთა სამეფო ტახტი დაიპყრო. ხოლო თავის მამის გურგენის 1008 წ. გარდაცვალების შემდგომ იგი ტაოკლარჯეთისა და საზოგადოთ სრული მესხეთის ერთად ერთ ბატონ პატრონათ იქცა. 1010 წ. ბაგრატ მე-III კახეთიც შემოიერთა და ამის შემდგომ ტფილისის საამიროს მოსპობა იყო მხოლოდ საქირი, რომ სრულიად საქართველოს

სახელმწიფოს მთელი ქართული მიწაწყალი გაეერთებინა. ეს პროცესი ბაგრატ მესამეს მემკვიდრეებმა დაამთავრეს, განსაკუთრებით ბაგრატ მეოთხემ და საბოლოოდ დავით აღმაშენებელმა, რომელმაც ტფილისის საამიროს სამუდამო მოსპობით და 1122 წ. ტფილისის მაჰმადიანთა მფლობელობიდან განთავისუფლებით ჩვენი ქვეყნის გაერთიანება ბრწყინვალეთ დაავიროვინა.

საქართველოს გაერთიანების პროცესი და სრულიად საქართველოს შექმნა მარტო პოლიტიკურ და სამხედრო ძალის შედეგი არა ყოფილა. საფუძვლად მას დიდი წინასწარი და თანადროული საკულტურო მუშაობა და შემოქმედება უდევს. იმ დროსაც, როცა საქართველო პოლიტიკურად ჯერ გაერთიანებული არ იყო და რამდენადმე ცალკე ერთეულად ითვლებოდა, საეკლესიო იერარქისა და წესწყობილების მხრივ. საერთო საეკლესიო დედაენით და მწერლობით ქართველთა მომავალი პოლიტიკურ ერთობის ნიადაგი საკმაოდ იყო მომზადებული. ქართველი ეკლესიის მწყემსმთავარი კათოლიკოსი მაშინ ქართველ ერის ერთობის გაპიროვნებული გამოხატულება იყო.



საქართველოს პოლიტიკურ აღორძინებას წინ უძღვოდა და თან სდევდა ძლიერი სამონასტრო აღმშენებლობითი მოძრაობა და სამწერლო მოღვაწეობის თვალსაჩინო გაცხოველება. სპარს-ბიზანტიელთა ომებით აზრებულნი და გაუდაბურებულნი ქვეყნებში, — ტაო შავშეთ კლარჯეთ სამცხეში ამ მოძრაობის წყალობით, ქართული ხელოვნების მშვენიერ რეგალიები შეიქმნა. ულნარ ტყეებში ცხოვრების ხმა გაისმა და მოსახლეობა გაჩნდა. მაგრამ მართა საქართველოში კი არა, არამედ უცხოეთშიაც გადატანილი იყო ქართული სამონასტრო მოღვაწეობა. წინათ თუ იერუსალიმში ქართველებს მხოლოდ ორი მონასტერი ქონდათ, ესწრაფით რიცხვი პალესტინაში სინაის მთაზე და საბერძნეთში ათობით უნდა დათვლილიყო. შავს მთაზე ანტიოქიის მახლობლად და ათონის მთაზეც აგებული იყო ქართული მონასტრები. მრავალმხრივი იყო მათი მოღვაწეობა, მაგრამ განსაკუთრებით სამწერლო-სამეცნიერო და სახელოვნებო შემოქმედებასა ქონდა უაღრესი მნიშვნელობა. უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრების სამშენებლო, სამშობლოში უცხო ენების ცოდნა და კულტურულ ცხოვრების შემოქმედება შემოდიოდა.

რაკი საბერძნეთის სწავლა განათლებისა და საღვთისმეტყველო საეკლესიო მწერლობის ყველა უმთავრეს ცენტრებში ქართველებს თავიანთი მონასტრები ქონდათ, ამის წყალობით მათ საშვალეობა მიეცათ, მაშინდელ განათლებულ კაცობრიობის წარმატებისათვის თვალყური ედევნებინათ და კვალდაკვალ მიეყოლოდნენ.

ამიტომაც არის, რომ ქართველ მწერლობას თითქმის ყველა გამოჩენილი საეკლესიო მწერლების თხზულების საუცხოო თარგმანები მოეპოვება, რომელთაც დედნის დაღუპვის გამო ესწრაფნენ დედნის აღსადგენად უდიდესი სამეცნიერო მნიშვნელობა აქვს.

სწრაფი ნაბიჯით დაწინაურდა ქართული საისტორიო მწერლობაც. გრიგოლ მერჩულის, ბ. ზარზმელისა და განსაკუთრებით გ. მთაწმინდელის და გ. ხუცეს-მონაზონის თხზულებები ეგოდენ მაღალხარისხოვან ღირსებებით არიან შემკულნი, რომ ყოველ განათლებულ ერის მწერლობისათვისაც საუკეთესო სამკაულად გამოდგებოდნენ.

საყურადღებო იყო აგრედვე ის საზოგადოებრივი მიმართულება, რომელს მოთავედ საქართველოში ცნობილი საეკლესიო მწერალი გამოჩენილი ისტორიკოსი და დიდებული საეკლესიო რეფორმატორი გიორგი მთაწმინდელი იყო. მეთერთმეტე საუკუნეში იგი წოდებრივ უპირატესობის მნიშვნელობას უარყოფდა საეკლესიო იერარქიაში და სრული თანასწორობის მქადაგებელი იყო. თავისი შეხედულება მან ცხოვრებაში განახორციელა კიდევ და ამ მხრივ საქართველოს წინამორბედად მოველინა იმ სოციალურ ბრძოლაში, რომელიც საქართველოში დიდგვარიან აზნაურთა წინააღმდეგ სწარმოებდა. ქართულ საეკლესიო კედლებზე და წიგნებში შენახული მხატვრობა, გერცხლით და ოქროთ მოჭედირი ხატები და ნივთები, დასასრულ მშვენიერი ეკლესიები ცხადპოვნენ, რაოდენად დაწინაურებული იყო მაშინ

ქართული ხელოვნება საზოგადოდ, განსაკუთრებით კი ოქრომჭედობა და ხუროთმოძღვრება. ამ ორს დარგში, მეტადრე უკანასკნელში ქართველობამ შემოქმედების ისეთი თავისებურება გამოიჩინა, რომელიც მხოლოდ ქართულ ხუროთმოძღვრებისათვის არის დამახასიათებელი და ამიტომაც მეცნიერებაში ქართული ხუროთმოძღვრება და სამხატვრო რიგი ეწოდება. მუსიკაშიაც ამ ხანაში ფრიად დიდი ღირებულება იყო შექმნილი:

გამოჩენილმა ქართველმა საეკლესიო გალობის მკოდნემ და მუსიკოსმა იოანე მტბევარმა თავი მოუყარა ყველა საეკლესიო საგალობლებს და სამუსიკონიშნებით შემოკლებული საგალობლების სრული კრებული შეადგინა, რომელიც ოთხასზე მეტს გვერდს შეიცავს in folio.

პოლიტიკურ-კულტურული აყვავება მე-XI-XII სს.

დავით აღმაშენებელმა საქართველოს გაერთიანება საბოლოოდ განამტკიცა და ტფილისის არაბთა საამიროს არსებობა მოსპო. მუდმივი ჯარის დაარსებით მან საქართველოს ძლიერებას მკვიდრი საფუძველი დაუდგა. ამ ჯარის რაოდენობა 50.000 მეომარს უდრიდა. ამის წყალობით დავით აღმაშენებელმა საქართველოს უძვეველ სახელმწიფოს სახელი მოუხვეჭა და ყველა გარეშე მტრებს, რომელნიც წინათ ჩვენს ქვეყანას მოსვენებას არ აძლევდნენ, არამც თუ ღირსეული პასუხი გასცა, ისეთი შიშით ჩაუწერა, რომ ისინი წინანდებურად თავდასხმას ვეღარ ბედავდნენ. რაკი საქართველოს მტრების საბოლოოდ დამარცხება მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რომ მათ ხელში ისეთი ძლიერი ციხე-ქალაქები არ ეჭირებოდათ, როგორც ანისი, კარი და დვინი იყო, ან თუ აღმოსავლეთით საქართველოში შემომყვანელი გზა მტრისათვის დახშული იქნებოდა, ამიტომ დავით აღმაშენებელმა შირვანშაჰი საქართველოს ყმად ნაფიცად აქცია, ქ. ანისიც და სომხებიც მაჰმადიანების მონობისაგან განათავისუფლა და საქართველოს სახელმწიფოს შემოუერთა. თავისი განსაკუთრებული სამხედრო ნიჭის წყალობით და მსწრაფი მაგრამ მშვენიერად გათვლისწინებულ მოქმედებით მან ისიც კი შესძლო, რომ საქართველოს სახელმწიფოს საზღვარი აღმოსავლეთით დარუბანდამდის მიიყვანა, ისე რომ მისი საბრძანებელი შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე იყო გადაჭიმული. ჩრდილოეთით კავკასიონის ქედს იქით მცხოვრები ოსები და ყივჩაყები საქართველოს სახელმწიფოს ყმად-ნაფიცები იყვნენ.

დავით აღმაშენებლის დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრე მეფეებმა დაასრულეს და ბრწყინვალედაც დაავიჯრვინეს. გიორგი მესამემ 1162 წ. ქ. დვინი აიღო და საქართველოს შემოუერთა, თამარ მეფის დროს კი ყარსი (კარი) დამორჩილდა საქართველოს, თართუმი და ისპირი კვლავ სამშობლოს დაუბრუნდა. სპარსთა ერთ კადნიერ შემოსევისა და ქ. ანისის ანაზღუდვად აზრებისათვის დასასჯელად და საპასუხოდ გაგზავნილმა საქართველოს სახელმწიფოს შეერთებულმა ლაშქარმა, გამარჯვებულმა ქ. ყაზვიანდის და გურგანამდის მიადწია. მცირე აზრისა და



სპარსეთის ამირების, სულტნებისა და ათაბაგების თანხმობრივმა სამხედრო მოქმედებამ და მრავალრიცხოვანმა ლაშქარმაც ამაზე უწინარეს ვერ შესძლო საქართველოს ძლევამოსილ ჯარის წინსვლის შეჩერება: ორჯერვე მაჰმადიანთა ლაშქარი ჯერ შანქარის 1195 წ. ომში და შემდეგ რაჭანდინის საწინააღმდეგო 1206 წ. ბრძოლაში საქართველოს ჯარმა საშინლად დაამარცხა და თვით ხალიფას მიერ დასალოცავად გამოგზავნილი დროშაც კი მტერს წაართვა. ამ ორმა გამარჯვებამ და სპარსეთის ლაშქრობამ საქართველოს უშუღიერეს და პირველხარისხოვან სახელმწიფოს სახელი მოუხვეჭეს როგორც აზიაში, ისევე დასავლეთ ევროპაში. მას არც სპარსეთში, არც მთელს მცირე აზიაში თანასწორი მოწინააღმდეგე არ მოუპოვებოდა.

მუ მე-X-XI საუკუნეები საქართველოს გაერთიანების ხანა იყო, მეთორმეტე საუკ. უნდა საქართველოს ძლიერებისა და აყვავების ხანად ჩაითვალოს. მისი მნიშვნელობა მართლ ქართულ იარაღის სამხედრო ძლევამოსილებითა და სახელმწიფოს საზღვრების სწრაფი გაფართოებით არ ამოირჩევა. საქართველომ ამ ხანაში სახელმწიფო და საზოგადოებრივ წესწყობილების მხრივაც, მწერლობასა, ხელოვნებასა და მეცნიერებაშიაც, კულტურულადაც განვითარების მაღალ ხარისხს მიაღწია. სახელმწიფოს სათავეში ამ დროს ისეთი დიდბუნებოვანი, ყოველმხრივ განვითარებული, გენიალური პიროვნება იდგა, როგორც იყო მეფე დავით აღმაშენებელი და ქალთურ სილამაზისა და სინაზისა და ამავე დროს მამაკაცურ გამბედაობისა და პოლიტიკურ სიბრძნის სწორუპოვარი განსახიერება თამარ მეფე. მათ მხარს უმშვენებდნენ მრავალი გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწეები, რომელთაც საქართველოს გაძლიერებასა და აყვავებაში უშუდიდესი მონაწილეობა აქვთ მიღებული.

უკვე ბაგრატ მესამე შეიგნო, რომ საქართველოს გაერთიანება და გაძლიერება მტკიცე არ იქნებოდა, თუ რომ სახელმწიფო მოხელეობა წოდებრივ უპირატესობაზე იქნებოდა დამოკიდებული. მან გადასწყვიტა, რომ აზნაურ ხელისუფალთა ურჩობისა და თვითნებობის დამღუპველი გავლენა მხოლოდ მაშინ გაქრებოდა, როცა მოხელეობისათვის მაღალი წოდებრივობა არ იქნებოდა საჭირო, არამედ განსაკუთრებით პირადი ნიჭი და საქმისა და სახელმწიფოს ერთგულება. ამ თავის გეგმის განხორციელებას მეფე ბაგრატ მესამე შეუდგა და მიხანს მიაღწია კიდევ. დიდგვარიან მოხელეებს უბრძოლველად არ დაუთმიათ მეფისათვის თავიანთი ჩვეულებრივი უპირატესობა და ამ დროითგან მოყოლებული საქართველოში სოციალურ-სახელმწიფო უფლებრივი ბრძოლა გაჩაღდა, რომელიც დავით აღმაშენებელამდის ცვალებადის თვისებისა იყო. ამ უკანასკნელმა დიდგვარიან ხელისუფალთა საწინააღმდეგო ბრძოლას განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია და მის დასამთავრებლად სამხედრო ძალაც, სხვათა შორის, საამისოდ ახლად შექმნილი მუდმივი ჯარიც კი მოიხმარა. მან გაბედული ნაბიჯის საშუალებით 1103 წ. რუის-ურბნისის საეკლესიო კრების დახმარებით დიდებული ქართული რეფორმატორის გი-

ორგი მთაწმინდელის აზრი განახორციელა და საეკლესიო წესწყობილებაში წოდებრივობის უპირატესობა მოსპო. შემდეგ იგივე პრინციპი სახელმწიფო წესწყობილებაშიც განახორციელა. ამის წყალობით საქართველოში, განსაკუთრებით გიორგი მესამის მეფობაში შეიქმნა მთელი წრე სახელმწიფო ხელისუფალთა, რომელნიც შთამომავლობით დაბალ წოდებას ეკუთვნოდნენ და მხოლოდ პირადი ღირსებისა და დამსახურების გამო თვით მინისტრებათაც კი იყვნენ. განუწყვეტლივ ხან ჩუმნი, ხან ცხადი ბრძოლა იყო უფლების გამო ერთის მხრით ამ წრესა და აზნაურთა შორის, მეორეს მხრით მეფესა და დიდგვარიანებსა შორის.

როდესაც გიორგი მესამე გარდაიცვალა და საქართველოს სახელმწიფო ტახტზე მისი ერთადერთი მემკვიდრე ქალი თამარი ავიდა, დიდგვარიანმა აზნაურებმა იფიქრეს, რომ ეხლა მათთვის ხელსაყრელი დრო დადგა და 1184-1186 წ. პოლიტიკური გაფიცვა მოახდინეს და უგვარო ვაზირებისა ანუ მინისტრების დამსობა მოსთხოვეს თამარ მეფეს. ამ მოულოდნელმა ამბავმა თამარი ისეთ გასაქირში ჩააგდო, რომ იძულებული იყო გაფიცულთა უმთავრესი მოთხოვნილებანი დაეკმაყოფილებინა. ჯერ ბრძოლა დამთავრებული არ იყო, რომ მეორე პოლიტიკურმა მოძრაობამ იჩინა თავი, რომელმაც პირველსავით წოდებრივი უპირატესობის მოთხოვნილება კი არ წამოაყენა, არამედ უკვე საზოგადო სახელმწიფო უფლებრივი საკითხი საქართველოს მეფის უფლების შეზღუდვის შესახებ. ამ პოლიტიკურ ჯგუფის აზრით განსაკუთრებული დაწესებულება უნდა შექმნილიყო და სამართლის უზენაესი საკითხები მეფისაგან სრულებით დამოუკიდებლად გაერჩიათ და გადაეწყვიტათ. ხოლო შემდეგ თავისი გადაწყვეტილება მეფისათვის უნდა ეცნობებიათ, რომ მას ავსრულებინა იგი. მაშასადამე პარლამენტის მსგავს სახელმწიფო დარბაზს მეფის უფლება ისე უნდა შეეზღუდა, რომ მას მხოლოდ აღმასრულებითი უფლება რჩებოდა. თამარ მეფემ ეს იუკადრისა და ამიტომ ამ დასის მეტაურის დაქვერა ბრძანა. ამ განკარგულების ასრულებამ უფრო გაამწვავა ურთიერთობა ისე, რომ ეს დასი უკვე სამხედრო მოქმედების წინააღმდეგაც არ იყო, ოღონდ მათი მეტაური გაენთავისუფლებინათ და თავისი პოლიტიკური იდეალი განეხორციელებინათ. რომ საქმე ძმათა შორის სისხლის ღვრით არ დამთავრებულიყო, თამარ მეფემ მშვიდობიანი მოლაპარაკებით მოინდომა მთელი ამ მოძრაობის მოსპობა. საგულისხმევია რომ ასეთი რთული პოლიტიკური მინდობილობის აღსრულება მან ორ პატივცემულ მანდილოსანს ხვანაქ ცოქალს და კრავაჟ ჯაყელს დაავალა. მათ ეს საქმე მართლაც მშვიდობიანად მოაწყვეს. ამიერიდან უშაღვს ხელისუფლების და ზავისა და ომის საკითხისთვის დასხვა მთავარ სახელმწიფო საქმეების გადაწყვეტის დროსაც თამარ მეფე სახელმწიფო დარბაზის წევრთა «თანადგომითა და ერთნებობით» ხელმძღვანელობდა. მაშასადამე აღმასრულებითი უფლების მაგიერ თამარ მეფემ დამტკიცების უფლება შეინარჩუნა.

(გაგრძელება იქნება)

† პეტრე სურგულაძე

6 სექტემბერს სტამბოლში უცრად გარდაიცვალა პეტრე სურგულაძე. ცნობილი მოღვაწე და თავგამოდებული მამულიშვილი. წვერი დამფუძნებელი კრებისა და წვერი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა.

უკანასკნელი ათი წელიწადი მან გაატარა სტამბოლში. ვინ იცის, რამდენჯერ მდგარა საწყალი პეტრე ბოსფორის პირად, რამდენჯერ მწუხარე თვლებით გაუცილებია შავ ზღვაზე მიმავალი გემები... იქ, შორს, იყო მისი საყვარელი საქართველო, რომელსაც მან შესწირა თავის ახალგაზრდა და რომლის ცის ქვეშ ეწადა, სიბერეში, მას არ მიეცა თავშესაფარი. იქ დათარეშობენ შემოსეული მტრები, და აქ კი... «ვა, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა?»!

პეტრეს მოღვაწეობა იყო სხვადასხვა ნაირი — პედაგოგიური, პუბლიცისტური, პოლიტიკური. ყველა ამ აქტივობის დახასიათებას აქ არ შეეუძლევით. მოვიყვან მხოლოდ ერთ ეპიზოდს, რომელშიც კარგად იხატება პეტრეს პიროვნება, მისი ენტუზიაზმი და განუტყეხელი ნებისყოფა.

ის დრო იყო, როცა მიჰნეღდა რუსეთის პირველი რევოლუცია და რეაქციამ წამოჰყო თავი. ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას გადაეფარა უფრო მეტი სიბნელე. ამ სიბნელეში ამოძრავდნენ ჩვენი მეტოქე ძალები და ხიფათს უმზადებდნენ ჩვენს დედა-ქალაქს — ერობის შემოღების სახით. ამ ვითარება და დემოკრატიული რევოლუციის უნდოდან ტფილისის ამოქრათ საქართველოს წიაღიდან და გადაეცათ არა-ქართველების ხელში... საჭირო იყო ხმის ამოღება. პეტრემ, რომელიც დიდ მუშაობას ეწეოდა პარტიაში დღიდან მისი დაარსებისა, აქაც გამოიჩინა ინიციატივა და ენერგია. მისი თაოსნობით და რედაქტორობით, 1908 წელს, გამოვიდა ყურნალი «ერი», რომელმაც დიდი კამპანია გასწია საზოგადოებრივი ჩვენს ეროვნული ინტერესების დასაცავად. მაგრამ... «სიტყვა არ კმარა, ამბობდა პეტრე, საჭიროა აქტი, მოქმედება; საჭიროა სამხედრო ძალის მოწყობა და მომზადება».

ალბად დრო მომწიფებული იყო. ჰაერში კტრი-ალეზა განთავისუფლების სუნის. ახრი ეძებდა გამოსავალს და ბუნებრივად ჰჩერდებოდა ჩხვიის მაგალითზე. გიმნასტიური საზოგადოება «სოკოლი» უხდებოდა ჩვენს ცხოვრებას და იძლეოდა ბევრს იმედებს. პარტია მუშაობდა ამ საკითხის შესწავლაზე. შედეგი ამ შესწავლისა იყო პატარა მონოგრაფია, რომელიც დაიბეჭდა «ერი»-ს ორ-სამ ნომერში. პეტრემ ეს მონოგრაფია ცალკე წიგნაკად გამოსცა. არ გასულა ერთი თვეც, პოლიცია თავს დაგვესხა, «ერი» დაჰხურეს და ჩვენ ჩავგაბარეს ბრალდებითი ოქმი: ორივე მიგვეს სისხლის სამართალში «მზადებისათვის არსებულ წყობილების დასამხობლად».

არასოდეს არ დამაიწყებდა პეტრეს ალღევებუ-ლი სახე და ანთებული თვალები, როცა ერთ საღამოს შემოვიდა ჩემთან და გამომიცხადა: «დასაქურად დამსდევენ... უნდა გავიქცეთ, თორემ ეს ხალხი ჩვენ

ჩავგაბრუნებს ციხეში»... თუმცა ჩემს წერილებში არა იყო რა ისეთი, რომ ამისთანა შიში გვექონოდა, მაგრამ პეტრე უფრო გამჭირიანი აღმოჩნდა გარემოების დაფასებაში.

სასამართლომ მას გადაუწყვიტა, დაუსწრებელი განჩინებით, ერთი წელიწადი ციხე (1909 წ.).

ეს იყო დიდი გადატეხა მის ცხოვრებაში. ამ დღიდან პეტრე მოწყდა სამშობლო მიწა-წყალს და იძულებული გახდა ეწარმოებინა ბრძოლა საზღვარგარეთ, მეტად ძნელ და აუტანელ პირობებში.

ასეთი სამსახური გავუწიე მე. ჩემდა უნებურად, ჩემს საწყალ მეგობარს.

გიორგი გვაზავა.

კვირას, ამ თვის 20-ს, პარიზის ქართულ ეკლესიაში წირვის შემდეგ მღვდელ მონაზონ ფერადის მიერ გადახდილ იქნა პანაშვილი პეტრე სურგულაძის სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრო მრავალი საზოგადოება. სხვათა შორის იყო მთავრობის თავმჯდომარე ბ. ნ. ყორანია. სიტყვები წარმოსთქვეს მ. ფერაძემ, ალ. ასათიანმა და გ. გვაზავამ, რომელთაც დიდი თანაგრძნობით მოვიგონეს განსვენებულის ცხოვრება და პიროვნება.

ტ ა დ ე შ უ ზ ჰ ო ლ ო ვ კ ო

საქართველომ დაკარგა პოლონეთში ერთი მისი ერთგული თავდადებული მეგობარი — ტადეუშ პოლოვკო. დაკარგა იმავე პირობებში, როგორათაც დაკარგეთ ჩვენი დაუვიწყარი ნოე რამიშვილი. ბანდიტები თავს დაესხნენ ღამე საწოლ ოთახში და ლაჩრულათ მოკლეს და გაიქცენ. ვერაგი მტრის ეს ორი მსხვერპლი იყვენ ერთმანეთთან მეტათ დაახლოვებულნი. დამეგობრებულნი, ერთმანეთთან გულღიათ მოლაპარაკე და ჩვენი საქმით გამსუვალულნი. პოლოვკო, სოციალისტური პარტიის აქტიური წევრი, შემდეგ აღმოვალიეთის დეპარტამენტის ყოვლად შემძლე გამგე. მთავრობის პარლამენტალური ბლოკის მეთაური, ყოველთვის და ყოველ პირობაში რჩებოდა თავისუფალი საქართველოს მოტრფიალე, მისი დროშის მატარებელი. მისი იდეის გამავრცელებელი. კაცი პირდაპირი, მტერზე აშკარათ მიმსვლელი, მოყვარესან გულღიათ დაკავშირებული, ნაიისრი მოვალეობის ერთგული, საზოგადო საქმისთვის თავგანწირული, ნიჭიერი ორატორი, უანგარო, მოუსყიდველი, უშიშარი მებრძოლი პოლოვკო წარმოადგენდა იშვიათ მაგალითს გატაცებულ იდეალისტიკას. ღრმა რწმენის და მაღალი სულის მატარებელი, დაუღალავი მოქმედი, შეუჩერებელი მუშაკი, მუდამ მოძრავი, მოაზროვნე და მებრძოლი, ის იყო ღვიძლი შვილი პოლონელთა იმ გამოჩენილი გუნდის. რომელნიც მთელი საუკუნის განმავლობაში იწვეოდენ სამშობლოსათვის, მტლათ ედებოდენ თავის ერს, ცეცხლში, ციხეში, კატორღაში მიდიოდენ თავისი ქვეყნის გასანთავისუფლებლად. ის აი ამ სახელოვანი წასულის ღირსეული გამაგრძელებელია,



დიდბუნებოვანი პოლონეთის ღირსეული შვილია. პოლოვეკო ემსახურებოდა თავის აღდგენილ ქვეყანას. უყვარდა თავისი ერი, მაგრამ ის არ იყო პატრიოტი ვიწრო, ეგოისტური, თავისი ერის სამსხვერპლოზე სხვა ერის ინტერესების მიმტანი. ჭეშმარიტი პოლონელი, პოლონელი დიადი რევოლიუციური წარსულის გამომბატველი, თავისი ერის ტანჯვის და ჩაგვრის არ დამვიწყებელი, მუდამ იქნება სხვა ჩაგრულ ერთა თანამგრძობი და ერთგული. განსვენებული სწორეთ ამ წყებას ეკუთვნოდა, ამ გუნდს მეთაურობდა, პოლონეთის საუკეთესო ტრადიციას ავრძელებდა და მას ცხვრებაში ახორციელებდა; რწმენით სოციალისტი, საქმით აი ამ დიდი მისიის გატარებას ემსახურებოდა. ეროვნულ უმცირესობათა უფლებრივად მოწყობა პოლონეთში, ჩაგრულ ერთა განთავისუფლება—აი ახალი პოლონეთის ახალ მოღვაწეთა იდეური დროშა, რომელზედაც პოლოვეკოს სახელი პირველ რიგში ჩაიწერება. ის დეცა ამ სასახლო ვზახე, დაეცა ვისი ხელით? რასაკვირვებია იმათგან. ვისიც მიზანია პოლონეთის დასუსტება, მისი შინაგანი არევა-დარევა, პოლონელის და არა პოლონელის დაპირდაპირება—ერთი სიტყვით ახალი პოლონეთისათვის ძველი პოლონეთის სვე-ბედის გამზადება. სიბუნელმ სძლია სინათლე. პოლოვეკო აღარ არის, მაგრამ არის მისი იდეა, მისი დროშა; ანთებული ლამპარი ველარ ჩაქრება, დაწყებული საქმე ვერ შეჩერდება. პოლოვეკო უკვდავია, მისი იდეური და მორალური პიროვნება მუდამ ინათებს.

უცხოეთის მიმოხილვა.

ინგლისის კრიზისი.

ამ ერთ თვეში ისეთი ამბები მოხდა ინგლისში, რომ მკათხველს არ ეჭირება მათი უაღრესი მნიშვნელობისათვის მითითება. ჯერ იყო და ტრავანსტების მთავრობა უეცრათ დაეცა თემთა პალატის ჩაურევლოთ, და ის ვერც ჩაერეოდა, რადგან დათხოვნილი იყო შემოდგომამდის. მეორე, მოხდა ისტორიაში სრულიად უჩვეულო ამბავი, ლიდერი და პრემიერ მინისტრი მაკდონალდი გადაუდგა თავის პარტიას, მთავრობას და შეადგინა, სწოედნთან და ტომასთან ერთათ, ახალი მთავრობა, ეროვნულად წოდებული.

საუკუნობრივ ინგლისის პარლამენტარულ ადათის მიხედვით მაკდონალდს ჰქონდა ორი გამოსავალი: არჩევნები ან ოპოზიციის, ე. ი., კონსერვატორებს ლიდერის ბოლდვინისათვის დათმობა თავის ადგილის. მეფე ყოველთვის იმას იწვევს პრემიერად, ვისზედაც გამოცვლილი პრემიერი უთითებს. მაკდონალდმაც მიუთითა ბოლდვინზე, მაგრამ უკანასკნელი არ დათანხმდა, და მაშინ მეფემ მიმართა მაკდონალდს თვითან მას შეედგინა მთავრობა, ოპოზიციის მონაწილეობით. აქედან ეროვნული მთავრობაც, რომელშიც შედიან გარდა მაკდონალდისა (პრემიერი), სწოედნისა (ფინანსთა მი-

ნისტრი) და ტომასისა (დომინიონების მინისტრი), ბოლდვინი, ჩემბერლენი (ორივე ძმა) —კონსერვატორებიდან, სამოელი და რიდინგ—ლიბერალებიდან. ვასახელებთ უმთავრეს პირებს.

მუშათა პარტია, რომლის წარმომადგენლობა ჰბობს ოცხვით პალატაში, სახტათ ან უეკთ—უთაოთ დარჩა! ასეთი საჯაყი საქმე არ მოსვლია და არც მოუვა. იმედია, არც ერთ სოციალისტურ პარტიას. აქ იზინა სწორეთ თავი. თუ რამდენათ მნიშვნელოვანია პოლიტიკურ და მასთან სოციალისტურ პარტიისათვის ერთგვარი თეორიული წრთვნა, სკოლა, ან რასაც დასავლეთში დოქტრინას ეძახიან. ინგლისის მუშათა პარტია, რომელის ხერხემალს ზომიერი და პრაკტიკული ტრედ-უნიონში შეადგენს, აღმაცერათ უყურებს თეორიას, არა აქვს ხანგრძლივი პოლიტიკური სკოლა განვლილი. აქედან მარცხიც. მაგრამ არც ის ითქმის, რომ მას არაფერი უსწავლია: პირველი შემოფოთების შემდეგ მან ჩქარა აულო აღლო მდგომარეობას, აირჩია ლიდერად ჰენდერსონი და გააჩაღა კამპანია ახალი მთავრობის წინააღმდეგ, რომელიც ფაქტიურათ არ იყო ეროვნული, რადგან მასში არ მონაწილეობდა მუშათა პარტია. უკანასკნელი არც დისციპლინაში ჩამორჩა სხვებს, ვაჰკიცხა მაკდონალდი, სწოედნი, და ტომასი, მათ ამრჩეველებიც აუჯანყდენ და სხ.

მაკდონალდი და მისი ამხანაგები უთუოთ მოელოდენ ასეთ შედეგს, მაგრამ არ შეუშინდენ. რადგან ამბობდენ ისინი, სამშობლო განსაცდელშია და ამ შემთხვევაში მის რტერესებს ჩვენ პარტიის ინტერესებზე მალა ვაყენებთო. ეს არგუმენტი აქ ვერა ძლიერი, თავის თავათ ცხადია, მაგრამ მის ავტორებს რაიმე ქვენა გრძობებსაც ვერ დავესწამებთ, მოქმედებენ გულწრფელათ და განწირულებით. ინგლისის მდგომარეობა მართლა სერიოზულია: საგარეო ვაჭრობის ბალანსის დაქვეითება მის წინააღმდეგ, საბიუჯეტო დეფიციტი, უმუშევრობა, ოქროს ლტოლვა ინგლისის ბანკიდან...

საჭირო იყო ახალი წყაროების გამონახვა, გასავლის შემცირება, და სწორეთ აქ წაიტხა ფენი მაკდონალდის მთავრობამ. ის იძულებული გახდა განეძრახა უმუშევართა დახმარების შემცირება ათი პროცენტით, ხოლო პარტიამ და ტრედ-უნიონისტებმა ვეტო დაადგეს მას. გვაგონდება მაკდონალდის სიტყვები, თქმული კერძო ბერძნი 1919 წელს: ქვეყანა რომ დაიქცეს, ინგლისის მუშები ხელს არ გაანაწრევენ, ხოლო სივსპენსის (ნახევარი ხოლინგი) გული-სათვის რევოლიუციას მოახდენენო. ასედაც მოხდა, მუშებმა არ დასთმეს და კრიზისი იღებს საშიშარ ფორმებს.

მაკდონალდის ეროვნულმა მთავრობამ დიდის სიქარით გაიყვანა თემთა პალატაში, მუშათა დეპუტატების ხმის წინააღმდეგ, კანონები ეკონომიურის და ფინანსური ხასიათის, მათ შორის ხელოვანის, ჯამაგირების და უმუშევართა დახმარების შემამცირებელი. როგორც შედეგს, ერთ საგულისხმიერო ამბავს ჰქონდა ადგილი: ატლანტიკის სამხედრო ესკადრის მეზღვაურები გაიფიცეს! მთელს ინგლისის ერს ქრუანტელომა დაუარა ტანში; უნდა გავე-



გათ, როგორ მორიდებით მსჯელობდენ ამაზე თემ-
თა პალატაში, ტრავისტმა დეკლუტატებმა, მთავრო-
ბის განმარტების შემდეგ. უკან წაიღეს შეკითხვა.
ინგლისის პრესა, თითქმის წინასწარი შეთანხმებით,
არწმუნებს ქვეყანას, საამისო არაფერია, მეზღვაუ-
რნი კალაპატში ჩადგნენ. ეს ასეა. მაგრამ ვის შეუ-
ძლია უარყოს. რომ ინგლისის მთელი სიძლიერე
სამხედრო ფლოტზედ ემყარება და... თუ მან უმ-
ტყუნა?!

და ამას ზედ დაერთო უარესიც: ოქროს ვალიუ-
ტა, ინგლისის სიამაყე გირვანქა სტერლინგი, რომე-
ლიც საუკუნოები მსოფლიო ვალუტად იყო აღიარ-
ებული, წაფორხილდა, დაეშვა ძირს და ინფლაცი-
ის აჩრდილი აეტუნა ყველას წინ! ეს იყო ნამდვი-
ლი უნდობლობა ინგლისის მიმართ. უცხოეთის ბი-
რუებმა გარეთ გამოყარეს გასასყიდად ინგლისის ქა-
ლალდის ფულები, ვერ უშველა საფრანგეთისა და
ამერიკის დიდმა სესხმაც, მერგნელ ნიუ-იორკმა
უარით უპასუხა სესხზე, თუმცა პარიზი მზათ იყო.
მთავრობა სწრაფათ იწვევს თემთა პალატას
და გაპყავს ოქროს ვალუტის გამაუქმებელი კა-
ნონი.

აი, ძალიან მოკლეთ საქმის ვითარება. ესლა ბე-
ვრს სწერენ და ლაპარაკობენ საბაჟო ტარიფების
შემოღებაზე. არჩვენებზე, მთავრობის გარდაქმნაზე,
მუშათა პარტიის მთავრობაში შეყვანაზე. ინგლისის
ერი დიდ გარდატეხას განიცდის, წელში იმართება
და უნდა საერთო ძალით დაეტაკოს საერთოხიფათს.
გამოსავალი მხოლოდ ამაშია, მას ესმის ეს და კიდე-
ვაც საქმედ აქცევს.

იაპონია და ჩინეთი.

ინგლისის წინ ხომ ყველა გერმანიაზე ლაპარა-
კობდა და დღესაც ლაპარაკობს, რადგან იქაური
კრიზისი მხოლოდ დროებით შენედა ზოგიერთი
პალიატივის და დიდი იმედების (გარედან) მოეხე-
ბით. ერთი ამ იმედობანი არის პიერ ლავალის და
ბრიანის მოგზაურობა ბერლინში, ამ თვის დამლევს.
მერე, შეიძლება უფრო მნიშვნელოვანი იმედი მა-
შინ გაედგა მთელს ევროპას, როცა გაიგო პი-
ერ ლავალის მიწვევა ვაშინგტონში ჰუფერის მიერ
სათათბიროთ. როგორც გერმანიის კრიზისი იყო ინ-
გლისის კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი, ისე ამ ორივეს
კრიზისი კარგს არაფერს უქადის ამერიკას, ეს კი
მხოლოდ სასარგებლოა ევროპისათვის. საერთო
გაპიერება იწვევს საერთო ზომებს და ამ მხრივ
დიდს და დადებითს შედეგებს უნდა მოველო-
დეთ.

თუ მივიღებთ, მაშასადამე, მხედველობაში სხე-
ნებულ სამ დიდ და უარესათ განვითარებულ სახე-
ლმწიფოს ეკონომიურ-ფინანსურ კრიზისს, რომე-
ლიც, ცხადია, სხვა დიდ და პატარა სახელმწიფოებ-
ზეც არა ნაკლებ საზიანო გავლენას მოახდენს, იაპო-
ნიის მიერ სამხრეთ მანჯურიის დაკავების განძრავა
თითქო მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო. მან უ-
თუთ შეარჩია დრო იმ იმედით, რომ ხელს არ შე-
უშლიდენ და, ისარგებლა რა ერთი მისი შტაბ-ოფი-

ცერის მოკვლა, აიღო მანჯურიის დედა-ქალაქი მუკ-
დენი და სხვა ადგილები.

იაპონია იმასაც არ დაერიდა, რომ ამ დროს
ერთა ლიგის წლიური ყრილობა იყო ყენევაში და
მისი წარმომადგენელი იქ ფიცულობს ლიგის და კე-
ლოგის პაკტების წინაშე! ჩინეთის დელეგატი პრო-
ტესტს აცხადებს, მოითხოვს ლიგის ჩარევას და
მით უკანასკნელს აყენებს ფრიად სახიფათო მდგო-
მარეობაში. ნუ დაივიწყებთ არას დროს იმდენი არ
ულაპარაკნიათ ერთა ლიგის სისუსტეზე და უნყო-
ფობაზე ყენევაში, როგორც წელს, და ამ დროს მის
წინაშე ისმის კითხვა იაპონია-ჩინეთის ომის. ჩაერი-
ოს და ვერაფერს განდეს, რა უნდა დარჩეს მის პრეს-
ტიჟიდან, არ ჩაერიოს, კიდევ უარესი: პატარა სა-
ხელმწიფოებს ერევა, დიდს ვერრას უბედავსო—
ასე განმარტა ინგლისის დელეგატმა რობერტ სე-
სილმა.

ფრიად საინტერესოა, ერთა ლიგის საბჭო,
გრძნობს რა თავის სისუსტეს, ითრევის თათბირში
ამერიკის მეთაფურეს, რათა მისმა ქვეყანამ უფრო
«რეალურათ», მუშტის მოღვრით, ჩააგონოს იაპო-
ნიას უკან დახვევა. ყოველ შემთხვევაში, საბჭომ ჯერ-
ჯერობით ვერ მიიღო დამაკმაყოფილებელი პასუხი
ტოკიოდან: პო, რასაკვირველია, ჩვენ მშვიდობია-
ნობა გვსურს, მაგრამ ჩინეთს სხვის ჩაურევლათ,
უშუალოთ უნდა ველაპარაკოთ. ჯერ-ჯერობით
ლაპარაკობს ზარბაზნები, არის მსხვერპლი იქიდან-
აქედან, მაგრამ არავინ იცის მივა თუ არა ნამდვილ
ომამდე საქმე. ჩვენ ვფიქრობთ, ვაშინგტონიდან და
ლონდონიდან მაინც მეტ შთაბეჭდილებას მოახ-
დენენ ტოკიოზე, ვინემ ყენევიდან, ფაქტი ასე-
თია, სამწუხაროთ, და ჩვენც უნდა შეურიგდეთ
მას.

მაგრამ ისმის კითხვა, როგორია მოსკოვის პო-
ზიცია? ლიტვინოვი თათბირობს იაპონიის ელჩთა-
ნო—ვადმოგვცემენ ვაზეთები—და საყვედურიც კი
უთხრაო: ასეთ რამეს თუ აპირებდით, რად არ გა-
გვაფრთხილეთ წინასწარო. და აი, ეს საყვედური ჩვენ
გვაძლევს კლიტეს მის პოზიციის გამოსაცნობათ!
მოსკოვი ალბათ გაფრთხილებული იყო, შეიძლება
თანხმაც: თუ იაპონიამ სამხრეთი მანჯურია დაიკა-
ვა, იქნება მე ჩრდილოეთ მანჯურიის რკინის გზას
მარტო დავეპატრონოვო!

ომს იაპონიასთან საბჭოთა კავშირი ვერ ვაბე-
დავს, ცხადია, ჩან კაი შეკის გამოქომაგება აბა რა
ხეირს დააყრის მას. და გაბალშევიკებული კანტო-
ნიც ხომ უკმაყოფილო დარჩება. ასე თუ ისე, მოს-
კოვი იქებს სადღეისო ნადავლს, ვინძლო რამე ჩავი-
გდო ხელშიო. ისიც არ გაგვიკვირდება, რომ მოს-
კოვი მზათ იყოს მთლათ მისაკუთრებული აღმოსავ-
ლეთ-ჩინეთის რკინის გზა იაპონიას მიყიდოს, იმდე-
ნათ უჭირს ფინანსურათ. სვალინდელი დღე ხომ
არ ანაღვლებს მას. როცა სამხრეთით გამგარებული
იაპონია ჩრდილოეთით დაიწყებს სვლას, და მაშინ
ფულის გაღებაც არ დასჭირდება.

ს ა ქ ა რ თ ვ ი ლ ო ს ა მ ბ ე ბ ი

საქართველოდან გეტყობინებენ შემდეგს:

ამ განაფხულზე, სრულიათ მოულოდნელათ საოკუპაციო ხელისუფლებამ ბორჩალოს მთავარ ცენტრებში ჯარის ნაწილები შემოიყვანა და ერთგვარ თადარიგს შეუდგა. თანაც ხელი მიჰყვეს შემხნეულ პირების დატუსაღებას და კოლექტივიზაციის ნაწილობრივ გატარებას. ეს საქმარისი საბუთი იყო მტრის განზრახვის გასაგებათ და ბორჩალოში კვლავ ბრძოლა გაჩაღდა. პარტიზანულ რაზმების მოქმედება განაზღვრა და საექსპედიციო ნაწილების განადგურება დაიწყო. ამაზე ხელისუფლებამ უპასუხა ახალი საექსპედიციო რაზმების გაგზავნით, რიცხვით 10.000 კაცამდე, რომელთა მეთაურებათ ცნობილი ჩეკისტები დანიშნეს. სამხედრო ნაწილებს გარდა ჩამოიყვანეს გეპეუს ჯარები და კომუნისტური ბატალიონები, რომელთა უმრავლესობა სომხობა და ცნობილი არიან თავისი სისასტიკით. ყველა სოფლებში ეჭვქვეშაობა ჩაყენებული. მათ თავგასულობას სწავლავს არ აქვს. იყო ქალების გაუპატიურების მრავალი შემთხვევა. თხოულობდენ იარაღს და პარტიზანების გაცემას. მოსახლეობა მათ სისასტიკეზე არაჩვეულებრივი სიმტკიცით და გულციგობით უპასუხებს. არ ყოფილა არც ერთი შემთხვევა გაცემის, ან ერთი მეორის დასმენის. ტყეში გასული პარტიზანების მშობლები, თუ ნათესავები მძევლებათ გამოაცხადეს.

ხდება პირდაპირ შემადრწუნებელი სცენები. გამოყავთ მძევლები და მორეკილ ხალხის წინ აწამებენ და შემდეგ ხვრტენ. მთელ მოსახლეობას ყრიან და რუსეთში ასახლებენ, ხოლო მათ ადგილმამულზე სომხობას ასახლებენ.

აქვე მოგვყავს საოკუპაციო ხელისუფლების სიმხეცის ნიმუშები, ხოლო დახვრტილებიდან ვსახელებთ ცოტათ თუ ბევრათ ცნობილ პირებს.

1. სოფელ ფახარლოში დახვრტეს მირზა ალი ტახმეზკულ ოლი და ოთხი კიდევ სხვა, ამავე სოფლიდან ტფილისის ჩეკაში დახვრტეს მთელ ბორჩალოში ცნობილი მოხუცი 80 წლის ტახმეზ გულისი კასანოვი, მასთან ერთად დახვრტეს 40 კაცი ბორჩალოდან, როგორც მძევლები, ხსენებულ სოფლიდან რუსეთში გადაასახლეს 35 ოჯახი.

2. სოფ. სარალო. დახვრტეს ყურბან კასან ოლი, ორიც სხვა, გადაასახლეს 17 ოჯახი.

3. სოფ. სარალი. დახვრტეს ახუნაძე მესმეტ და რიზა ოლი მამედ და სამი სხვა. გადაასახლეს 12 ოჯახი.

4. სოფ. მახელიდან გადაასახლეს 8 ოჯახი.

5. ზედა სასალიდან დახვრტეს ორი კაცი. გადაასახლეს 15 ოჯახი.

6. სოფ. ახილიდან გადაასახლეს 5 ოჯახი.

7. სოფ. გომურტი. დახვრტეს გამზა ალა და ორიც სხვა. გადაასახლეს 3 ოჯახი.

8. სადახლოში დახვრტეს მამედ კარაჯა ოლი და ორიც სხვა. გადაასახლეს 15 ოჯახი.

9. ლემაბელში დახვრტეს გაჯი ეთმი ოლი და ისა ოლი მესმეტ. გადაასახლეს 6 ოჯახი.

10. სოფ. კასიში. დახვრტეს ორი, გადაასახლეს 5 ოჯახი.

11. სოფ. კაჩანოში დახვრტეს ხუთი კაცი, ამაში ერთი 9 წლის ბავშვი, როგორც მძევალი, გადაასახლეს 10 ოჯახი.

12. სოფ. ულაშტი. დახვრტილია ორი, გადაასახლეს 6 ოჯახი.

13. სოფ. ტეკელა. დახვრტეს ალთემიერ კუზემ ოლი, გადაასახლეს 3 ოჯახი.

14. სოფ. ვიანიტე. დახვრტეს ოსმალ ალა მამედი.

15. ლეყვეენდი. დახვრტეს კარა ბაკსიმ მამედ და მულა მირზა. გადაასახლეს 12 ოჯახი.

16. მულანი. დახვრტეს კარაბალათ და მამედ ალა. გადაასახლეს 15 ოჯახი.

17. სოფ. გულტლარი. დახვრტეს ერთი; გადაასახლეს 12 ოჯახი.

18. სოფ. ბალდრი. პარტიზანთა ერთი ჯგუფის მეთაური მენტრი ალა და ორი კაცი დახვრტეს; გადაასახლეს 8 ოჯახი.

19. სოფ. კარახოვი. დახვრტეს 5 კაცი, გადაასახლეს 40 ოჯახი.

20. კიზილ გაჯი. დახვრტეს 7 წლის ბავშვი, როგორც პარტიზანი მამის მძევალი; აქვე დახვრტეს 5 კაცი და გადაასახლეს 50 ოჯახი.

21. სოფ. აჩიხლი. დახვრტეს კერიმ ოლი ერთმ და ორი სხვაც, გადაასახლეს 10 ოჯახი.

22. სოფ. ბანვეჩი. დახვრტილია ერთი კაცი, გადაასახლეს 60 ოჯახი.

23. გაშალიდან. დახვრტეს მეგრალი და ისა ბინატ ოლი.

24. კასაბულა. დახვრტეს მესეტი ოლი მამედ და ნადირ ოლი უსუფ.

25. სოფ. არაპლი. დახვრტეს ცნობილი მოლა ამბას ზადე და მისი შვილი.

26. სოფ. კირიკალა. მამედ ალი ოლი და ორი სხა. ამათ გარდა ტფილისში დახვრტეს ბორჩალოდან სხვადასხვა დროს მძევლებათ ჩაყვანილი ტუსაღები რიცხვით ასი კაცი.

მთელი რიგი სოფლები აყრილია. ამბობენ ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს ბორჩალოს და ყარაიანის თათრების აყრა და მათ ადგილზე სომხების დასახლება.

დამსჯელი ჯარის ასეთი სისასტიკე ტყვეთ გასულ პარტიზანებში ბუნებრივით იწვევს მათდამი შურის ძიების აქტებს. პარტიზანთა წვრილი რაზმები თავს ესხვიან მტრის ბანდებს და დიდ ზიანს აყენებენ. სწყვეტენ ახლათ ჩამოსახლებულ სომხობას და სწვავენ მათ სახლკარს. ამიტომ ბევრი სომეხი უარს ამბობს გადასახლებულთ სახლკარზე დასახლებაზე.

საოკუპაციო ხელისუფლების მიერ სოფლად წარმოებულ პოლიტიკის ნიადაგზე დიდი მოძრაობა დაიწყო, განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში. აუარებელი ხალხი არის ტყეში განიხნული და აქტიური ბრძოლას აწარმოებს ხელისუფლების წინააღმდეგ. უკანასკნელი ცნობით, დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა ნაწილებში მოქმედებს 2000-მდე შეიარაღებულ გლეხთა რაზმები.

გლენტა მოძრაობის და შექმნილ ეკონომიურ პი-
რობების გამო საოკუპაციო ხელისუფლება იძულებ-
ულია ზოგ დათმობაზე წავიდეს ეკონომიურ სფე-
როში. მაგ. უკვე განკარგულება გასცეს ნაწილობ-
რივ კერძო ვაჭრობის შემოღების შესახებ. მაგრამ
მიუხედავად ამისა სანოვაციის ფასი მაინც მატუ-
ლობს და მის ზრდას საზღვარი არ უჩანს. აი, ზოგი-
ერთი სანოვაციის ფასები: ქათამი—15 მან. პური გირ.
(შავი)—2 მან.; ყველი გირ.—6 მან., ხორცი დაბალი
ხარისხის გირ.—4-5 მან.; მუადის ფქვილი ფუთი—30
მან. და სხვა. ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა ჯა-
მაგირი კი დარჩა ძველი.

უკანასკნელი ცნობები.

ტფილისში მეტეხის ციხის ფანჯრები ამოქედეს
და საკნები დააბნელეს. ამის მიზეზით ასახელებენ
ტფილისში მოსალოდნელ არეულობის დაწყებას და
ტრუსალებში დიდ ნერვიულობას ამ უკანასკნელ ხა-
ნებში.

სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, რომ
ავგასტოს უკანასკნელ რიცხვებში ქიათურის გვეყუს
თავს დაესხა პარტიზანთა რაზმი და ჩეკის სარდაფი-
დან გაანთავისუფლა ორი ცნობილი პოლიტიკური
ტრუსალი.

ხალხმა გადასწვა ნოე რამიშვილის მკვლელის
ქანუყვადის ოჯახი.

ი. გოგებაშვილის „დედა-მანა“ პარიაში

ფრიად გასახარი ამბავი უნდა ვაუწყოთ ქართველ
ემიგრაციას: ბ. დ. ხელაძემ გამოსცა ჩვენი სახელო-
ვანი პედაგოგის იაკობ გოგებაშვილის „დედა-მანა“,
ნაწილი პირველი. წიგნი ცემობეჭდილია თვით ავ-
ტორის დროინდელ გამოცემიდან, სრულებით უც-
ვლელად. დატულია ძველი სახე წიგნის, ზომა, შრიფ-
ტი, იგივე სურათებია, წერის ნიმუშები და სხ. დაბე-
ჭდილია უფრო სუფთად და უკეთეს ქაღალდზე და
ახდენს საუცხოვო შთაბეჭდილებას.

ი. გოგებაშვილის „დედა-მანა“ს, რასაკვირველია,
სახელის გაკეთება არ სჭირია ჩვენი მხრით, უნდა
აღვნიშნოთ მხოლოდ რომ ბ. ხელაძემ დიდი სამსა-
ხური გაუწია ქართველ ემიგრაციას და ძვირფასი სა-
ჩუქარი მიუძღვნა. ასე არც ერთი წიგნი არ იყო მის-
თვის საქირაო, როგორც ეს. ჩვენი ნორჩი თავობა
უცხოეთში პირდაპირ ილუბება სულიერად, სრული
გადაგვარების გზაზეა—საქართველო და ყველაფერი
ქართული მისთვის უცხო ხდება. წარმოდგენა არა
აქვს სამშობლოზე, არ იცნობს მის ბუნებას, არ ხე-
დავს ქართულ წრეს, ქართული არსად ესმის და ხში-
რად თვითონაც არ იცის თავისი ენა. უმთავრესი
ბრალი ამაში მშობლებს აწევთ, რომელნიც სათანა-
დოთ არ ცთილობენ თავიანთ შვილების ეროვნულ
აღზრდას. ბევრი თავს იმით იმართლებდა, რომ ქარ-
თული სახელმძღვანელო არა გვაქვსო. საბედნიეროდ

დღეს ეს დაბრკოლება აღარ არსებობს და მოგვეპო-
ვება პირველდაწინებითი სახელმძღვანელო წიგნი.

იმედი გვაქვს, საფრანგეთსა, გერმანიასა, პოლო-
ნეთსა და სხვ. მყოფი ქართველობა მხურვალედ და
ფართოდ გამოეხმაურება „დედა-ენის“ გამოცემას.
ყველამ, არა მარტო მშობლებმა, აუცილებლად უნ-
და შეიძინოს და მით შეაძლებინოს გამოცემულს,
რომ მოახორხოს მეორე ნაწილის დაბეჭდვაც.

ბ. ხელაძეს კვლავ უნდა ვუთხრათ დიდი მად-
ლობა, რომ მიუხედავად მრავალი სიძნელისა მაინც
შესძლო ამ უცხო მხარეს „დედა-ენის“ გამოცემა და
ისიც ასე მშვენიერის სახით.

ფ.

P. S. წიგნი ღირს 10 ფრ. დაკვეთა შეიძლება შემ-
დეგი მისამართით:

M. Keladzé. 13, rue Lavoisier
Cachan (Seine)

ქართველები საზრანგეთში

30 აგვისტოს. ნაშუადღევს 3 საათზე „Alliance
Française“-ის დიდ დარბაზში, აგვისტოს აჯანყე-
ბის მეშვიდე წლის თავზე გადახდილ იქნა მღ. მ. ფე-
რადის მიერ პანაშვიდი. მშვენიერად გალობდა მო-
ხალისეთაგან შემდგარი ქართველი გუნდი.

პანაშვიდის შემდეგ გაიხსნა ასოციაციის საზო-
გადო კრება, რომლის თავმჯდომარემ ბ. ნ. ცინცაძემ
წარმოსთქვა სიტყვა, რომელშიდაც აღნიშნა აგვის-
ტოა აჯანყების ისტორიული მნიშვნელობა მისი
როლი ჩვენი ქვეყნის განთავისუფლების საქმეში და
მოუწოდა დამსწრეთ ფეხზე ადგომით პატივი ეცათ
ამ აჯანყებაში დახოცილთა ხსოვნისათვის.

შემდეგ ბ. შ. ამირეჯიბმა წაიკითხა მეტად ში-
ნაარსიანი მოხსენება აჯანყების შესახებ. განსაკუ-
თრებით კარგი იყო მოხსენების პირველი ნაწილი.

როგორც პანაშვიდს, ისე მოხსენებას თითქმის
მთელი კოლონია დაესწრო.

ქართველება გერმანიაში

კვირის, 30 აგვისტოს. ქართველ ხალხის აჯან-
ყების მეშვიდე წლისთავზე ქართველ საზოგადოების
გამგებობამ მოაწყო კრება, რომელსაც თითქმის მთე-
ლი ბერლინში მყოფი ქართველობა დაესწრო.

კრება გახსნა შესავალ სიტყვით საზოგადოების
თავმჯდომარემ მ. წულუკიძემ. შემდეგ დღის შესა-
ფერი სიტყვები წარმოსთქვეს: ბ. ბ. გრ. დიასამიძემ,
გელა-გელაზანიამ, ნაკაშიძემ. ერთეოზ რამიშვილმა.
ბ. კორნ. ხოშტარიათ გაუზიარა საზოგადოებას მო-
გონებები აჯანყების დღეებზე და დახოცილ გმირე-
ბზე.

ბოლოს ბ. გელა-გელაზანიამ წაიკითხა ლექსები:
„წერილი დედას“, „თებერვალი საქართველოში“ და
სხვ.

კრებას მეტად წრფელი, ინტიმური ვანცდების
ხასიათი ჰქონდა.